აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1-2 (№184-185) ● იანვარი-თებერვალი 2017 წელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა 8 თებერვალს პატივი მიაგეს დავით აღმაშენებლის სახელს.

დავით აღმაშენებლის სიდიადესა და მის როლზე საქართველოს ისტორიაში, ისაუბრეს - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა გენადი მარგველაშვილმა, რექტორის მოადგილემ შალვა ჯირთაძემ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ლუკა დვალიშვილმა, ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, პროფესორმა ომარ ნიშნიანიძემ...

„დავითობის" აღსანიშნავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დიდი მეფის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

***

მიმდინარე წლის 17 იანვარს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა განათლების საერთაშორისო ცენტრისა და საფრანგეთის მთავრობის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამის „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2017-2018“ პრეზენტაცია. სასტიპენდიო პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს ქართველ სტუდენტებს საფრანგეთში მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური მაგისტრის ხარისხი, როგორც ფრანგულენოვან, ასევე ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის შედეგად. სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული პრიორიტეტული სპეციალობებია: აგრარული მეცნიერებები, განათლება, ინჟინერია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სამართალი, არქიტექტურა, საჯარო მმართველობა და მენეჯმენტი. აღნიშნული პროგრამა პირველად 2016 წელს ამოქმედდა და საქართველოს 16 მოქალაქე უკვე სწავლობს საფრანგეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

***

მორიგი შეხვედრა აწსუ-ში 2017 წლის 15 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის, გივი ჭიჭინაძის ინიციატივით,საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აწსუ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ფილოსოფიის, სოციალური მეცნიერებების კვლევისა და სწავლების განვითარებაზე ისაუბრეს, რომლის ფარგლებშიც აწსუ-ში იგეგმება ვორქშოფები და სემინარები. პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები ლექციებს მოისმენენ დემოკრატიის პრინციპებზე და ადამიანის უფლებებზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაში იმერეთის გუბერნატორთან გივი ჭიჭინაძესთან ერთად აწსუ რექტორი გიორგი ღავთაძე, გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გენადი მარგველაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მამუკა ბერიაშვილი ესწრებოდნენ.

***

2017 წლის 14 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პოლონეთის ქალაქ პოზნანის მერიის წარმომადგენელი მიხაილ კაცემარეკი და პოზნანის უნივერსიტეტის წარმომადგენლები სტუმრობდნენ.

***

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და აწსუ მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის FabLab ATSU -ს ორგანიზებით, მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართა სასკოლო ჰაკათონი JUNIOR ATSUHACK. სასკოლო ჰაკათონში მონაწილეობის სურვილი გამოხატა 104-მა მონაწილემ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის კერძო და საჯარო სკოლებიდან. თუმცა, ონლაინ-ტესტირების შედეგების საფუძველზე, შეირჩა საუკეთესო ქულების მქონე 100 მოსწავლე (მე-6 - მე-12 კლასი) საქართველოს სხვადასხვა რეგონებიდან. 2017 წლის 12 თებერვალს, ქ. თბილისის „ტექნოპარკში“ მონაწილეები 16 გუნდად დაკომპლექტდნენ და 1 კვირის განმავლობაში მენტორებთან ერთად იმუშავეს იდეების რეალიზებაზე. ხუთ-ხუთი მოსწავლისაგან შემდგარი გუნდები ერთმანეთთან კომუნიკაციას ახდენდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გუნდებს რეგიონების მიხედვით ემსახურებოდა FabLab-ის ქსელი. ამა წლის 19 თებერვალს კი გაიმართა დასკვნითი ღონისძიება, სადაც მონაწილე გუნდებმა წარმოადგინეს დასრულებული პროექტების პრეზენტაცია. სპეციალურად შერჩეულმა ჟიურიმ (აწსუ რექტორი გიორგი ღავთაძე, Microsoft-ის წარმომადგენელი საქართველოში - შოთა მურცხვალაძე, მალხაზ ჯინჯიხაძე, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი - ნინო მარღიშვილი, გიორგი ჩაჩუა) გამოავლინა სამი გამარჯვებული გუნდი - I ადგილის მფლობელი გახდა გუნდი Apolo (პროექტი - დამზადდა, მობილურის აპლიკაცია, რომელიც განკუთვნილია ტურისტებისთვის, მასზე დატანილია სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები და მათი აღწერილობები, როგორც ტექსტური, ასევე ხმოვანი სახით. რომლის ყველა წევრსაც აწსუ ადმინისტრაციისაგან გადაეცა Lenovo-ს პლანშეტი; II ადგილის მფლობელი გახდა გუნდი Hackboys, რომლის ყველა მონაწილეს გადაეცა Huawei-ს პლანშეტი; III ადგილის მფლობელი გახდა გუნდი Discovery, რომელსაც საჩუქრად გადაეცა Samsung galax სმარტფონი; Microsoft-ის წარმომადგენელმა კი რჩეულ გუნდს გადასცა Acer -ის ლეპტოპი.

ჰაკათონის მიზანია მოსწავლეების გაერთიანება, რომლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა პროგრამული, დეველოპერული, დიზაინური და საინჟინრო სამუშაოების შესრულება. აგრეთვე, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარჩვევების ცოდნის და გამოყენების ხარისხის გამოვლენა ეროვნული სასწავლო გეგმის „ისტ“-ს სტანდარტის შესაბამისად.

ამერიკის შესწავლის ცენტრი საინტერესო ლექციას მასპინძლობს

2016 წლის 26 დეკემბერს, პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ დოს პასოსის ასოციაციის მოწვევით, უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა მანუჩარ კაჭახიძემ, ჟურნალ „მამულის“ რედაქტორმა, ჟურნალისტმა, მწერალმა და მთარგმნელმა.

საჯარო ლექცია ქართული ისტორიული ემიგრაციის შესახებ დიდი ინტერესით მოისმინეს დამსწრე სტუდენტებმა და პროფესორებმა. მომხსენებელმა თავის პრეზენტაციაში დეტალურად მიმოიხილა მე–20 საუკუნის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათი მოღვაწეობა აშშ–ში და ფასდაუდებელი დამსახურება, როგორც ამერიკის სახელმწიფოს, ასევე ქართული დიასპორის წინაშე.

დასასრულ სტუმარმა მსმენელთა მრავალ შეკითხვას უპასუხა.

ჟურნალი „მამული“ ერთადერთი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემაა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დღევანდელი ემიგრანტებისათვის, ერთგვარი დამაკავშირებელი ემოციური ხიდია სამშობლოსთან. ის თავდაპირველად, გაზეთის სახით გამოდიოდა, ახლა კი საკმაოდ მოცულობითი ჟურნალი, ყოველთვიურად იყიდება ნიუ-იორკის ქართულ დახლებზე. აი, როგორ წერს თავად რედაქტორი ჟურნალის შესახებ „ წელიწადნახევარი მოუნდა შეერთებული შტატების პატენტისა და სავაჭრო მარკის ოფისი, რომ დათანხმებოდა "მამულის" მოთხოვნას სახელისა და ლოგოს დარეგისტრირებაზე. არადა, 13 წლის ემიგრანტული ჟურნალი იმსახურებდა ბრენდად ჩამოყალიბებასაც და მისი სახელის ასეთ დაცვასაც. უკან დარჩა ასობით მიწერილი წერილი ამის მისაღწევად . "მამულს", ქართულ წარწერას, მის ლოგოში გამოყენებულ მამალს, შოთა რუსთველის სილუეტს (განსაკუთრებით გაგვიჭირდა რუსთველის ქუდის დამტკიცების პროცედურები) და ყურძნის მტევანს სათითაოდ დასჭირდა დაცვა და ექსკლუზიურ ნიშნად აღიარება-მინიჭება.

მადლობა ამერიკელ ადვოკატებს ამ ძნელ ლაბირინთში გავლისათვის, აგრეთვე ჩემს მეგობრებს მარინა სანაძესა და რამაზ გოცირიძეს , ამ დიდ საქმეში გვერდში დგომისათვის, ფინასური მხარდაჭერისათვის, ნდობისათვის, რომ "მამული" პირველი ქართული მსოფლიო მარკა, დაცული ბრენდი ყოფილიყო".

მანუჩარ კაჭახიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე 17 წელია ცხოვრობს და ამ ხნის მანძილზე ის პირველად სტუმრობდა თავის ქვეყანასა და ქალაქს.

ამერიკაში მისი საქმიანობის ერთ—ერთი სფეროა ქართული ისტორიული ემიგრაციის კვალის ძიება. ჟურნალისტი მეტად ძვირფას კოლექციას ფლობს, სადაც ქართველი ემიგრანტების ნივთებია თავმოყრილი. კოლექცია ბატონ მანუჩარს თან არ ჩამოუტანია, მაგრამ ვრცლად კი ისაუბრა მის შესახებ.

მან მისი შექმნა 15 წლის წინ დაიწყო. ძიება ცხადია, არ სრულდება... დიდი ძალისხმევისა და ერთგულების ფასად, კვლავაც აგრძელებს ქართველ ემიგრანტთა აქამდე უცნობი ნივთების მოკვლევასა და შეძენას.

1920-იანი წლების დასწყისში პრინც მაჩაბელმა თავისი პარფიუმერული კომპანია იტალიიდან აშშ-ში გადაიტანა. ეს მოვლენა სრულიად უნიკალური გახლდათ, რადგან მაჩაბელის პარფიუმერული ნაწარმი, პირველი ევროპული სუნამო იყო ამერიკაში. 1922 წელს თიმეს -მა პირველი რეკლამაც დაბეჭდა მის შესახებ. სარეკლამო ფურცელზე, სწორედ ის ფლაკონია ასახული, რომელიც სუნამოსათვის ჯორჯ კობიმ შექმნა. შუშა დაფარულია ოქროთი, სახურავი კი მეფე გიორგი XII-ს გვირგვინის გამოსახულებაა. სუნამო თითქმის 100 წლისაა და ხელუხლებელია. კოლექციაშია გულსაკიდი, რომელიც იხსნება. ის დამზადებულ იქნა მყარი (კრემის კონსისტენციის) სუნამოსათვის. კოლექცია განსაკუთრებულია იმით, რომ ინახავს პრინც მაჩაბელის საქორწინო საჩუქარს მისი მეუღლის, ნორინა ჯილისადმი. ცილინდრის ფორმის რეზერვუარი სუნამოსათვის (რომელიც მრავალჯერადი გამოყენებისაა) მთლიანად ოქროსია. ძალიან სასიხარულოა, რომ სახელოვანი ქართველი ემიგრანტის ეს და სხვა ნივთები, დღეს მეტად საიმედო ხელშია. ქართველი ემიგრანტისა და ამერიკაში მინის წარმოების ერთ-ერთი ნოვატორის, გრიგოლ კობახიძის (ჯორჯ კობის) ბევრ ნივთს ინახავს აღნიშნული კოლექცია, რომელიც უნიკალურია რამდენიმე თვალსაზრისით: აქაა ნაძვის ხის პირველი მინის სათამაშოები, რომელიც გაყიდვაში გამოვიდა 1919 წლის 25 დეკემბერს და დღეს შეუძლებელია მისი სადმე შეძენა; ჯორჯ კობი გახლდათ სწორედ ის მწარმოებელი, რომელმაც პირველმა დაამზადა (შეიმუშავა მინის ტექნოლოგია) და კომერციულად საინტერესო გახადა პროდუქცია; სწორედ ამით გააცნო მან მინის სათამაშოები ამერიკას. უნიკალურია იმითაც, რომ მასზე შვლის ნუკრია გამოსახული, რითაც ავტორმა ქართული მოტივებს გაუსვა ხაზი.

უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა ბატონ მანუჩარს რათა დაედგინა თითოეული ნივთის წარმოების ზუსტი თარიღი, რომელიც საპატენტო ორგანიზაციაში იქნა მოძეული.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა იმ ქართველი მწერლების მემკვიდრეობის შესახებ, ვინც ამერიკაში მოღვაწეობდა. ერთ—ერთი მათგანია გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილი და მისი და მისი მეუღლის, ჰელენ პაპაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი “Anything can happen” („ყველაფერი შეიძლება მოხდეს"), რომელიც მსოფლიოს 7 ენაზეა თარგმნილი და ათწლეულის მანძილზე ბესტსელერი გახლდათ ამერიკაში (ქართულ ენაზე წიგნი საქართველოში 1960-იან წლებში დაიბეჭდა). გამოსვლიდან მალე, ნაწარმოების ეკრანიზაციაც მოხდა ჰოლივუდში. წიგნი ჟურნალმა "მამულმა", შარშან გამოსცა საქართველოში. როცა 2015 წელს, თავად გახლდით ამერიკაში ფულბრაიტის საერთაშორისო სტიპენდიით, საქართველოს გენერალურ საკონსულოში, ნიუ--იორკში, მანუჩარ კაჭახიძის ინიციატივით, ქართული აუდიტორიისათვის ნაჩვენები იქნა ეს ფილმი, რომელიც იმავე სახელწოდებით 1950-იან წლებში იქნა გადაღებული.

ამჟამად, ბატონი მანუჩარი მუშაობს მეორე წიგნის “Home and home again” („შინისაკენ კვლავ შინისაკენ") თარგმანზე და თარგმანის საავტორო უფლების მოპოვებაზე.

მანუჩარ კაჭახიძემ კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტის, მწერალ პავლე ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი წიგნები გააცნო მსმენელებს, რომლებიც ამერიკაშია გამოცემული. ყველაზე მეტი წიგნი კი ქართველი ემიგრანტების შესახებ, ჯორჯ ბალანჩინზეა დაწერილი. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებთან მომხსენებელმა ამის შესახებაც აღნიშნა.

ბატონმა მანუჩარმა საკმაოდ ისაუბრა იმ შრომატევადი სამუშაოს შესახებ, რასაც ქართველ ემიგრანტთა საფლავების მოძიება და იდენტიფიცირება ჰქვია. მან ბევრი ისეთი დოკუმენტური მასალა გასაჯაროვა, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ჩვენი მეცნიერებისათვის.

ამერიკის შესწავლის ცენტრთან თანამშრომლობით, მანუჩარ კაჭახიძემ საჯარო ლექცია 11 იანვარს თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტშიც წაიკითხა. შემდეგ კი საქართველოს ემიგრაციის მუზეუმს ვეწვიეთ.

პროფესორ ვ. ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრი მადლობას უხდის მანუჩარ კაჭახიძეს, რომელიც გასაოცარი თავდადებითა და სიყვარულით წვეთ-წვეთ აგროვებს დაფანტული ქართული ემიგრაციის საგანძურს, უკან უბრუნებს და უნახავს ქართულ ისტორიოგრაფიას.

დიდი მეცნიერის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია



გასული წლის 2 დეკემბერს 130 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოში მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ავტორის, დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძის დაბადებიდან. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ჩვენი უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტმა, საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციასა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებთა ფაკულტეტთან ერთად, 29-30 ოქტომბერს, ჩაატარა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო მოღვაწეობა და ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები".

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ღავთაძემ. მან ისაუბრა იმ დიდ ღვაწლზე, რაც დიმიტრი უზნაძეს მიუძღვის ზოგადად ქართული მეცნიერების წინაშე. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის დამსახურებას ქუთაისში უმაღლესი განათლების პირველი კერის, პედაგოგიური ინსტიტუტის (რომლის სამართალმემკვიდრეც ჩვენი უნივერსიტეტია) დაარსებასა და განვითარებაში. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი შერვაშიძე, ამავე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ლალი სურმანიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მიხეილ მახარაძე, მოსკოვის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი სერგეი ბოგდანჩიკოვი, აწსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფილოსოფიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი რობერტი გოლეთიანი, აწსუ ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტები სალომე ჩიქოვანი და ლევან გოგიბერიშვილი.

დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის შესახებ, პლენარულ სხდომაზე, მოხსენებები წაიკითხეს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეებმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ირაკლი იმედაძემ („დიმიტრი უზნაძე ქართული მეცნიერების კლასიკოსი") და აწსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მერაბ მაღრაძემ („დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობა ქუთაისში 1909-1917 წლებში").

პლენარული სხდომის შემდეგ, სამი სხდომა მიეძღვნა სამეცნიერო მოხსენებების მოსმენას და დისკუსიას განსახილველ პრობლემებზე. ბუნებრივია, რომ მოხსენებათა უმრავლესობა დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი მეცნიერული მიმდინარეობის, განწყობის ფსიქოლოგიის თემატიკისადმი იყო მიძღვნილი. გარდა ამისა, უზნაძე იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მეცნიერული პედაგოგიკის თავკაცი. ცხადია, მოხსენებათა ნაწილში, უზნაძის მოღვაწეობის ეს ასპექტებიც იყო წარმოდგენილი. ძნელია საგაზეთო წერილში კონფერენციაზე მოსმენილი ყველა მოხსენების დეტალური მიმოხილვა, ამიტომ ზოგად ხაზებში შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ იმ მოხსენებას, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი და დისკუსია გამოიწვია.

პირველ რგში შევეხოთ მოხსენებებს ფსიქოლოგიის მოსაზღვრე მეცნიერებათა დარგებიდან. კონფერენციის მონაწილეებმა (რომლებიც ძირითადად ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის სპეციალისტებით იყვნენ წარმოდგენილი) დიდი ინტერესით მოისმინეს საქრთველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, თსუ-ს პროფესორის, ფიზიოლოგ ნუგზარ ალექსიძის მოხსენება, „ფუნქციური ნეროქიმიის მიღწევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ფსიქოლოგიაში". ფსიქოლოგებმა საკამათოდ გახადეს მომხსენებლის დასკვნა, რომლის მიხედვითაც განწყობა (იგულიხმება განწყობის უზნაძისეული თეორიის ცენტრალური ცნება) ქცევაში რეალიზდება ფიზიოლოგიური ადაპტაციური სინდრომის გზით. გამოითქვა მოსაზრება, რომ ადაპტაციური სინდრომი განწყობის კომპონენტია და არა მისი რეალიზაციის ცალკე ეტაპი. ამასთანავე, ყველა შეთანხმდა, რომ ფუნქციური ნეიროქიმიის თანამედროვე მიღწევები ფართოდ უნდა იყოს გათვალისწინებული და გამოყენებული ფსიქოლოგიურ კვლევებში. ასევე ინტერესით იქნა მოსმენილი აწსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორის, ბადრი ფორჩხიძის მოხსენება, „განწყობის თეორიის დისკურსიული და ინტუიტიური წანამძღვრები". ამ მოხსენებაში დასმულ პრობლემებთან დაკავშირებითაც მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის პროფესორის მიხეილ მახარაძის მოხსენებაში, „დიმიტრი უზნაძის ადგილი მე 20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში", ნაჩენები იყო ის გავლენა, რაც დ.უზნაძის ფილოსოფიურმა შრომებმა მოახდინა იმ ფილოსოფოსთა მსოლმხედველობაზე, რომლებიც სამოციან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე.

საგანგებო და საინტერესო მოხსენებით, „ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების თავისებურებანი საბჭოთა კავშირში 1930 - ან წლებში" გამოვიდა მოსკოველი სტუმარი, მოსკოვის სოციალური მართვის აკადემიის პროფესორი, სერგეი ბოგდანჩიკოვი. მომხსენებელმა ისაუბრა საბჭოთა კავშირში ფსიქოლოგიის განვითარების იმ ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც ჩაისახნენ გასული საუკუნის 20-30-ან წლებში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა დ. უზნაძის და მისი სკოლის დამსახურებას. მომხსენებელმა უზნაძის მოძღვრება შეაფასა, როგორც სრულიად ორიგინალური და განსხვავებული სხვა საბჭოური ტიპის ფსიქოლოგიური მიმართულებებისაგან.

განწყობის ფსიქოლოგიის თემატიკიდან განსაკუთრებით ცხარე კამათი გამოიწვია განწყობის სტრუქტურის პრობლემამ. მოხსენებათა დიდი ნაწილი (თსუ პროფ. ირაკლი იმედაძის, ბათუმის შ.რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის პროფ. ნოდარ ბარამიძის, აწსუ პროფ. მერაბ მაღრაძის და სხვ.) მიეძღვნა იმის დამტკიცებას, რომ განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების მთავარი ვექტორი, დღეისათვის განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელია, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში წამოაყენა უზნაძის მოწაფემ და მიმდევარმა, შალვა ჩხარტიშვილმა, კლასიკური სტატიკური მოდელის ჩასანაცვლებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში გამოიკვეთა, რომ განწყობის უზნაძისეული თეორია დღეისათვის უკვე აღარ წარმოადგენს მონოლითურ მეცნიერულ სისტემას. მის წიაღში მრავალი განშტოება დაიბადა და იბადება, რაც ყოველი საფუძვლიანი და სიცოცხლისუნარიანი თეორიის გარდუვალი ხვედრია. ზოგადმეცნიერული თეორია, რომელიც განახლებულ ვარიანტებს არ წარმოშობს და თავის კლასიკურ ფორმაზე ჩერდება, დროთა განმავლობაში კვდება და მხოლოდ ისტორიულ ძეგლად იქცევა. ის რომ უზნაძის თეორია დღესაც (ავტორის გარდაცვალებიდან 66 წლის შემდეგ) აქტუალურია, მისი ფესვების სიძლიერესთან ერთად, მასში პოსტუზნაძისეულ ხანაში შეტანილ სიახლეთა წყალობაცაა. დაისვა საკითხი, რომ განწყობის თეორიის განვითარების ზოგიერთ დღეისათვის აქტუალურ მიმართულებას, პირველ რიგში კი განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელს, ნეოუზნაძიზმი ეწოდოს. საბოლოოდ დისკუსიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ასეთი აზრები ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი საკითხია დასაზუსტებელი.

განწყობის თეორიის „ღია" პრობლემებს მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ რამაზ საყვარელიძის მოხსენება „განწყობის უზნაძისეული ცნების პრობლემა". მომხსენებელმა აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია განწყობის ცნების ისეთი მკაფიო დეფინიცია, რაც დაგვაზღვევდა მისი განსხვავებული მნიშვნელობებით გამოყენებისგან. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოიკვეთა, რომ უზნაძის თეორიის ცენტრალური ცნება, თეორიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ნამდვილად საჭიროებს მის დეფინიციაში მეტი გარკვეულობის შეტანას, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ უზნაძეს არ დასცალდა ამ მიმართულებით მუშაობის დასრულება.

თეორიის „ღია" პრობლემებზე ისაუბრა აგრეთვე თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა ზურაბ ვახანიამ მოხსენებაში, „აღქმა და აზროვნება - ქცევის ფორმები". მოხსენებასთან დაკავშირებით, საკამათო გახდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს აღქმის (ან აზროვნების) სფეროში ფიქსირებული განწყობის შესწავლა საერთოდ განწყობის, როგორც ქცევისთვის მთლიანობითი მზაობის დინამიკური მდგომარეობის, კვლევად. ცხარე დისკუსიის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი საკითხია დამატებით საკვლევი და გასარკვევი.

კონფერენციაზე ძირითადად თეორიული საკითხები იყო წინა პლანზე წამოწეული, თუმცა ინტერესით იქნა მოსმენილი რამოდენიმე ექსპერიმენტული გამოკვლევაც. მათ შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თსუ ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის გიორგი გორორშიძის მოხსენებამ, „განწყობისეული ადაპტაცია შეფასებისა და დამოკიდებულების ფორმირებაში" და პროფ. რამაზ საყვარელიძისა და დოქტორანტ ანანო ხუსკივაძის მოხსენებამ, „განწყობის ფიქსირება სოციალური დასწავლით". სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აღნიშნულ კვლევებში გამოვლენილი ექსპერიმენტული ფაქტები დიდად შეუწყობს ხელს განწყობის თეორიის ექსპერიმენტული ბაზის გაძლიერებას.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ კონფერენციამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა და ყველა მონაწილის აღიარებით, იგი უნდა ჩაითვალოს საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად.

მერაბ მაღრაძე
ასოცირებული პროფესორი

ყველასათვის საყვარელი

1979 წელს ქვეყნის ერთადერთმა მმართველმა პარტიამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება „სოფლის მეურნეობის მშრომელებზე სტუდენტი ახალგაზრდობის შეფობის შესახებ". ამ დადგენილებას აქტიურად გამოეხმაურნენ ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო — გეოგრაფიის ფაკულტეტის ყველა სპეციალობის მეორე და მესამე კურსის მოწინავე სტუდენტები. ისინი იმავე წლის 1 ნოემბრიდან მაშინდელი მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის დაბა ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში გაემგზავრნენ ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. ღონისძიება შეთანხმებული იყო რესპუბლიკისა და ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელებთან. ასე შეიქმნა სტუდენტთა შრომითი რაზმი „ოქროს რთველი", რომლის ხელმძღვანელობა ბოტანიკა — ზოოლოგიის კათედრის ასისტენტს — ემზარ გორდაძეს სთხოვეს. წარმოიდგინეთ 70 ახალგაზრდის ახალგაზრდავე მეთაური, ჯერ თვითონ გამოუცდელი, მაგრამ დაუზარებელი, ინტერესიანი, მონდომებული, სიცოცხლით სავსე. მისი შრომა ჯერ მხოლოდ წიგნების კითხვა იყო და მოულოდნელად უზარმაზარი საქმე ჩაბარეს. „ოქროს რთველის" 70 რაზმელს ერთი თვის განმავლობაში 250 ტონა ციტრუსი უნდა მოეკრიფა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რაზმის თითოეულ წევრს ყოველდღიურად 150 კგ მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის. სტუდენტთა სასახელოდ, ისინი არათუ გეგმას ასრულებდნენ, არამედ 200-250 კგ ციტრუსსაც კრეფდნენ.

დალოცვილი წელი იდგა. მოვიდა, მაგრამ რა მოსავალი მოვიდა. მთავარი იყო, ნაყოფი ხეზე არ დაეტოვებინათ. აღგილობრივი მოსახლეობა რომ ვერ ერეოდა საქმეს, ამან გამოიწვია შრომითი რაზმის შექმნა.

გვასახელეს სტუდენტებმა, მაგრამ ეს საამაყო საქმე მხოლოდ ახალგაზრდების სახალისო შრომით არ მოგვარებულა. ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო ბ-ნი ემზარი, რომელსაც სტუდენტობის დროიდანვე ვიცნობდი. ჩვენ პარალელურად ვსწავლობდით. ის — ბიოლოგიურზე, მე კი — ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჩემს თანაკურსელ ვაჟებს ემეგობრებოდა. ლექციებს შორის დასვენებებზე ხშირად შემოდიოდა აუდიტორიაში და უსმენდა ჩემი ამხანაგების: ავთანდილ ნიკოლეიშვილის, თეიმურაზ ლანჩავას, დემურ კორთაძის, ჯემსი კეპულაძის, ზურაბ აბრალავასა და სხვების მიერ შექმნილ ახალ-ახალ ლექსებს, რომლებსაც ისინი სისტემატურად გვიკითხავდნენ. ემზარი ხანდახან თავის ლექსებსაც შემოგვაპარებდა. იყო იუმორით სავსე, ხალისიანი, ენამოსწრებული, უყვარდა ანეგდოტების თხრობა, მაგრამ თუ ასეთი დიდი ორგანიზაციული ნიჭითაც იქნებოდა დაჯილდოებული, ამას ვერ წარმოვიდგენდი. მისი ერთი სიტყვაც კი კანონი იყო რაზმის თითოეული წევრისათვის.

ერთი თვის განმავლობაში ბ-ნი ემზარის ხელმძღვანელობით 70 სტუდენტმა იმდენი გააკეთა, მათი სასახელო საქმეების შესახებ არა მარტო ქუთაისური პრესა ალაპარაკდა, არამედ — რესპუბლიკურიც. ბ — ნმა ემზარმა კი თავისი ადამიანობით, ახალგაზრდებზე თანადგომით, მეგობრობით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, ყველა კარგი თვისებით, ისე შეაყვარა თავი სტუდენტებს, რომ ბევრი მათგანი დღესაც, თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ, არ ივიწყებს მას, ეხმიანება, ემეგობრება და სიყვარულით იგონებს ურეკში გატარებულ დღეებს. დღემდე წლები ბ—ნმა ემზარმა შინაარსიანად გაატარა. წლების მანძილზე სწავლობდა, ამზადებდა სალექციო კურსებს, წერდა სტატიებს, სხვადასხვა ნაშრომებს, ამზადებდა სტუდენტებს საკონფერენციოდ, მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ყველა თემა მაღალი კვალიფიკაციისა იყო. ზრუნავდა არა მარტო სამეცნიერო საქმეებზე, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობასა და საკუთარ ოჯახზედაც. სიყვარულით იყო ჩაბმული სხვადასხვა ღონისძიებაში. ახალგაზრდობის ასაკში სხვადასხვა სპექტაკლში მონაწილეობდა, ასრულებდა საინტერესო როლებს, რომლებიც მაშინდელი ფილარმონიის თეატრის სცენაზე იდგმებოდა. ამ საკითხზე მასალები ვრცლად იხ. წიგნში: ბენია თხილავა, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემია, 2012.

ხშირად დამინახავს ბატონი ემზარი მოსწავლეთა სასახლის კონფერენციებზე, სადაც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოსული მოსწავლეების თემების დაცვა-განხილვა მიმდინარეობდა, რომ გამარჯვებული თბილისში, რესპუბლიკურ კონფერენციაზე, გაეგზავნათ. ემზარი ამ საქმეს გულმოდგინებით ასრულებდა და მომავალ თაობებს ფლორისა და ფაუნის სიყვარულს უნერგავდა და უნერგავს.

ბ-ნი ემზარის ინიციატივით უნივერსიტეტში საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის დაარსდა უფასო საკვირაო სკოლა, რომელშიც 30-მდე მოსწავლე იყო გაერთიანებული. ყოველ კვირა დღეს ბ-ნი ემზარი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებთან ერთად (რომლებიც 2 წლის განმავლობაში ქუთაისში სისტემატურად ჩამოდიოდნენ) ბუნების დაცვის პრობლემებზე უფასოდ კითხულობდა ლექციებს. ყოველი თვის ბოლო კვირას კი ბ-ნ ემზარს ამ ბავშვებისათვის დაგეგმილი ჰქონდა ექსკურსიები.

ბატონი ემზარი ჩვენს ქალაქში არაერთი შაბათობის ორგანიზატორია. მისი ხელმძღვანელობით და სტუდენტთა ძალებით დაასუფთავეს მდინარე „ოღასკურას" სანაპირო და მუხნარის ტყე-პარკი, დარგეს უამრავი მცენარე. ბ-ნი ემზარი მონაწილეობს ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის პრობლემებზე ტელეკომპანია „რიონის" მიერ ჩატარებულ გადაცემებში. ამავე საკითხებზე ასევე რეგულარულად კითხულობს ლექციებს საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის.

ბ-ნი ემზარი და მისი მეუღლე ქ-ნი ცირა ჟორჟოლიანი დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრის დოქტორები, ასოცირებული პროფესორები არიან. ორივე ერთი სპეციალობით მუშაობს. ერთდროულად არიან სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ავტორები. მათი შედგენილი წიგნებით ინტერესით მეცადინეობენ ის სტუდენტები, რომლებსაც ისინი ასწავლიან და რომლებიც თვითონაც მონაწილეობენ ამ სახელმძღვანელოების შედგენაში.

ბატონი ემზარი საუკეთესო ლექტორია. მის საგნებს სიყვარულით სწავლობენ ახალგაზრდები. მის ლექციებზე მუდამ ხალხმრავლობაა: „თქვენს ლექციებზე არავის // არ ეზარება დასწრება", — წერენ სტუდენტები.

ბ-ნი ემზარი არის 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, ბევრი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი. გარდა ამისა, აქვს 8 სახელმძღვანელო და 6 მონოგრაფია. მეუღლესთან ერთად გამოსაცემად მზად აქვს 700 გვერდიანი ეკოლოგიური ენციკლოპედიური ლექსიკონი და სახელმძღვანელოები: ცხოველთა ეკოლოგია და ზოგადი და კერძო ბიოგეოგრაფია.

ბ-ნი ემზარი პოეზიის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. ამ ნიჭს ის კარგად იყენებს იმისათვის, რომ თავის სპეციალობაში - ზოოლოგიაში მარტო სტუდენტებისთვის კი არ დაწეროს საკითხები, არამედ — მომავალი თაობისთვისაც და პატარებისთვის ადგენს სახალისო წიგნებს, გონების სავარჯიშოებსა და გამოცანებს. ამ წიგნებით ბავშვები ეცნობიან, რა ჰქვიათ პატარა ცხოველებს მარტო თანამედროვე ქართულ ენაში კი არა, არამედ — დიალექტებშიც, როგორი თვისებებით ხასიათებიან ისინი, როგორ უნდა იზრუნონ ბავშვებმა მათზე:

„როგორც თქვენ გიყვართ მშობლები,
როგორც უყვარხართ ყველას,
ისევე უყვართ შვილები
ძაღლს, კატასა და მელას.
ამიტომ კარგად დაფიქრთდით,
ჩიტს ნუ დაუნგრევთ ბუდეს,
ნუ გადააგდებთ ძაღლის ლეკვს,
თევზს ნუ დაუშრობთ გუბეს".

ან კიდევ: „ცხოველთა მოვლა-ფერება და მათზე ზრუნვა გმართებთ," — არიგებს ბ-ნი ემზარი საყვარელ ბავშვებს და თანაც ინტერესში აგდებს: „ვინც ბუნებას კარგად იცნობს, გამოცანებს გამოიცნობს". -

ეს იმ წიგნიდანაა, რომელიც 120 გამოცანის სახელით დღე-დღეზე მოევლინება ქვეყანას.

ბატონი ემზარი ავკარგიანი ადამიანია. მადლიერების გრძნობა მასში ფართოდ არის ფეხმორთხმული. ის არ ივიწყებს თავის მასწავლებლებს, მათ, ვის ხელშიც მარტო კარგ სპეციალისტად კი არა, კარგ ადამიანადაც ჩამოყალიბდა. „გიორგი კოკოჩაშვილმა გამზარდა, რაც ვიცი, მისგან ვიცი, როგორიც ვარ, მისგან გავხდი ასეთიო. ის იყო ცოცხალი ენციკლოპედია და ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით ვსაქმიანობდი. სამი წლის განმავლობაში ჯერ მე ვესწრებოდი მას ყველა ლექციაზე, შემდეგ კი, როცა მე შევედი ჯგუფში, ის მესწრებოდა ყველა მეცადინეობაზე, რომლის განხილვის შემდეგ მეტყოდა, შენ ეს აზრი ამ სიტყვებით გამოთქვი, ხშირად მეც ასე ვამბობ, მაგრამ საინტერესოა, როგორ გადმოსცემენ ამას დიდი მეცნიერებიო. გადმოიღებდა წიგნებს, ხმამაღლა წაიკითხავდა და მეტყოდა, მოდი, ამიერიდან ჩვენც ასე ვთქვათო. ეს იყო საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ მეცნიერმა როგორ უნდა აღზარდოს მომავალი თაობა ისე, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენოს და გული არ ატკინოსო." „ესეც ჩემთვის ერთგვარი გაკვეთილი იყოო", — დინჯად ამატებს ბატონი ემზარი.

ბატონ ემზარს აქვს საუკეთესო ბიბლიოთეკა უნიკალური წიგნებით. ის არის გულითადი მეგობარი და ადამიანის დამხმარე. როცა „ლექსიკონთა ლექსიკონზე" ვმუშაობდი და ეს გაიგო ბ-ნმა ემზარმა, საკუთარი ავტომანქანით ათეულობით ლექსიკონი მომიტანა და მაჩვენა, ესენი ხომ გაქვს, არ გამოგრჩესო, მომიყვა თითოეული ამ წიგნის ისტორიას და ბევრი მათგანი მაჩუქა კიდეც.

არ დამავიწყდება 2014 წლის ივლისის ცხელი დღეები. უნივერსიტეტში საკონკურსო ციებ-ცხელება იდგა. დეპარტამენტის წევრები, ყველანი, დერეფანში ვიდექით და ერთმანეთს ველოდით, როგორი შედეგით დამთავრდებოდა თითოეული ჩვენგანის კომისიასთან გასაუბრება. ამ დროს, მოულოდნელად, მეზობელი კორპუსიდან გადმოვიდა უკვე ნაკონკურსალი და კარგ ხასიათზე მყოფი ბ-ნი ემზარი, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონია ჩვენი მღელვარება და თავისი იუმორით, გვერდზე დგომით, სასიამოვნო განწყობა შეგვიქმნა და ჩვენი მაშინდელი მდგომარეობა დაგვავიწყა. და ისედაც, ბ-ნი ემზარი ისე გვერდს არ აგვივლის, ერთ, იმ წუთის შესაფერის, ანეგდოტს არ მოგვიყვეს და კარგ ხასიათზე არ დაგვაყენოს.

ბ-ნმა ემზარმა და ქ-ნმა ცირამ ორი შვილი გაზარდეს: თორნიკე და თამთა. 13 წლის იყო თორნიკე, გაცვლითი პროგრამით ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლიდან საფრანგეთში, პარიზში, სწავლის გასაგრძელებლად რომ გაგზავნეს. იქვე დაამთავრა უნივერსიტეტი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. დღეს ის პოლიტიკის საერთაშორისო ექსპერტია. არის თავდაცვის აკადემიის დირექტორი, პოლიტიკის ინსტიტუტის კათედრის გამგე და **ამავდროულად ქართველი თორნიკე გორდაძე არის საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩეველი ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების განხრით.** ასევე საფრანგეთში აქვს მიღებული განათლება ბ-ნი ემზარის ქალიშვილს თამთას, რომელიც იქვე გათხოვდა ზვიად ხალვაშზე. ზვიადს განათლება ევროპასა და აშშ-ში აქვს მიღებული. ცოლ-ქმარი ევროპაში მოღვაწეობს სპეციალობით და ამავე დროს ორ შვილს: მატილდასა და მაქსს ზრდიან. ეს პატარა უცხოელი ქართველები ისე უყვართ ბებიასა და ბაბუას, რომ მათს გარეშე ვერ სძლებენ და წელიწადში 2-3-ჯერ, დასვენების დღეებში, ორიოდე კვირით, ერთად დაფრინავენ პარიზში მათს მოსაფერებლად, მაგრამ, თუ ქ-ნი ცირა მარტო წავიდა, უნივერსიტეტშიც და ოჯახშიც ყველა საქმის შემსრულებელი ბ-ნი ემზარია, მისი მოსვენება არ არის. მეცნიერული სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ეზოში ყვავილების მოვლას უთმობს. ეს საქმე მას უზომოდ უყვარს და იზიდავს. იქამდე ხილ-კენკრის მურაბებსაც აკეთებს და მწნილებსაც, სახამთროდ პროდუქტებსაც ინახავს, რომ თავის ფერიას ასიამოვნოს, ზამთარში ცხოვრება გაუადვილოს და საუკეთესო პირობები შეუქმნას. არ თაკილობს საოჯახო საქმეებს და თავისი მეუღლის ნამდვილი მარჯვენა ხელია. ამ ყველაფერს ბ-ნი ემზარი თვითონვე აღიარებს თავის ლექსების კრებულში, რომელსაც მან „სულის საზრდო" უწოდა:

„ორშაბათს, სამშბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და
კვირას —
ყოველ დღეს, ყოველ წუთს, ყოველ
წამს
მე ვუძღვნი საყვარელ ცირას."

ბ-ნი ემზარი წლების მანძილზე მუშაობდა მედიცინისა და საბუნებისმეტყველო — გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად, შემდეგ იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1995-2005 წლებში, 10 წლის განმავლობაში, არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორად და ლექციებს კითხულობდა სამედიცინო ბიოლოგიაში, სამედიცინო პარაზიტოლოგიასა და გენეტიკაში.

დღეს ბ-ნი ემზარი საქართველოს ეკოლოგიის აკადემიისა და ქუთაისში შექმნილი იუმორის აკადემიის წევრი და მისივე ერთ-ერთი დამაარსებელია.

ცოლ-ქმრის სასახელო საქმიანობა, მათი ქვეყნის ინტერესებისათვის გადადგმული თითოეული ნაბიჯი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მათს საქმიანობას სპეციალური გადაცემაც კი მიუძღვნა ტელეკომპანია „რიონმა" 2015 წლის ოქტომბერში რუბრიკით „მამაპაპურ ბუხართან".

სად არ ნახავთ ემზარს, საფაკულტეტო თუ საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე, მეგობარი ფაკულტეტების მიერ ჩატარებულ შეხვედრებსაც ხშირად ამშვენებს თავისი გამოჩენითა და იუმორნარევი სიტყვებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ემზარი ყველგანაა, ყველაფერს ასწრებს, ყველას ყურადღებას აქცევს, ყველას პატივისმცემელია და დასაყრდენი მეგობარი. ამიტომაც უყვარს მთელს უნივერსიტეტს და ამ სტატიასაც ამიტომ ვუწოდეთ „ყველასათვის საყვარელი".

— „როგორ ახარხებ ამას, ყველას როგორ უყვარხარო?" — კითხვა დაუსვა თურმე ბ-ნ ემზარს ერთხელ ერთ-ერთმა მეგობარმა დემურ თევდორაძემ.

— „ყველას რომ უყვარდე, საჭიროა ჯერ შენ გიყვარდეს ყველაო," — ასეთი ყოფილა ბ-ნი ემზარის პასუხი.

საიმედო, უღალატო მეგობარს, რომელიც ალამაზებს ჩვენს უნივერსიტეტს, თავისებურ ხიბლს სძენს ახალგაზრდობის აღზრდის კერას, ვუსურვოთ ყოველივე კარგი ოჯახთან ერთად, დიდხანს სიცოცხლე, რკინისებური ჯანმრთელობა ისევ ჩვენდა იმედად.

იზოლდა რუსაძე

ნახევარი საუკუნე წიგნების სიყვარულში

ჩემი ახალგაზრდობის დროს, როცა ქუთაისის პედინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში საკვალიფიკაციო ნაშრომზე ვმუშაობდი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეცნიერ-მუშაკთა განყოფილების მსგავსად, იყო სრული სიჩუმე, სიწყნარე, იდეალური გარემო და ყველა პირობა, რომ მკვლევარს შეუფერხებლად შეძლებოდა დასახული მიზნის მიღწევა — საჭირო ლიტერატურის დამუშავება. ეს მაშინ, როცა ამ დარბაზში მარტო ლექტორები კი არ საქმიანობდნენ, არამედ — სტუდენტი ახალგაზრდებიც. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი ქ-ნი ლუარა გვენეტაძე.

მართალია, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით, როგორც ამბობენ, დღევანდელი მონაცემებით, აქ მილიონ-ნახევარი წიგნია, ასევე იყო მეოცე საუკუნის 80-იან წლებშიც, მაგრამ ყველა, რაც არსებობს, მაინც არც იყო და არც არის. მიუხედავად ამისა, ეს „არაა“ აქ არ მიგრძვნია ქ-ნი ლუარა გვენეტაძის წყალობით. წაიკითხავდა თუ არა ჩემ მიერ ამოწერილ ბარათებს, იქვე გადმომცემდა საჭირო ლიტერატურის ნაწილს. რაც არ ჰქონდა, იმას კი არ მეტყოდა, არა გვაქვსო, თურმე ჩემ გარეშე ფიქრობდა, რეკავდა ქალაქის წიგნთსაცავებში, თვით საჯაროშიც და აზუსტებდა, სად რა იყო და რა — არა და ჩემი იქ მუშაობის პერიოდში ბიბლიოთეკებიდან თვითონვე მოჰქონდა, რომ არ შევფერხებულიყავი. ეს რაა. უფრო მეტიც. ის ზრუნავდა ჩემზე, როგორც საკუთარ ახლობელზე და, როცა შემამჩნევდა, რომ სამკითხველოში თავაუწევლად ვშრომობდი და მთელი დღე წყალიც არ დამილევია, სახლიდან წამოღებულ საგზალსაც მიწილადებდა (ჩუმად დამიწყობდა მაგიდაზე) და ამას აკეთებდა ქუთაისის პედინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის თანამშრომელი, დღეს უკვე ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი, ქ-ნი ლუარა გვენეტაძე — მშრომელი, ბეჯითი, მუყაითი, დაუზარებელი, ყველას პატივისმცემელი, ენერგიული, მოყვასის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი...

მერე, როცა ქ-ნი ლუარას ჩემდამი ასეთი დამოკიდებულებისათვის დაგვიანებული მადლობა ვუთხარი, ასეთი მარტო თქვენთვის არ ვყოფილვარო, - მიპასუხა და ჩამოთვალა ის უამრავი ლექტორი, რომლებმაც ჩემამდე დაიცვეს საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები, რომლებზედაც ქ-ნ ლუარას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის, - მაგრამ ზოგს ახსოვს ეს და ზოგს - არაო.

ჯერ კიდევ 1965 წელს დაიწყო ქ-ნმა ლუარა გვენეტაძემ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცავისა და მომსახურების — ამ შრომატევად განყოფილებაში მუშაობა. მაშინ ბიბლიოთეკის დირექტორი ბ-ნი თედო ადამაძე იყო. გულთბილად იგონებს ქ-ნი ლუარა ბ-ნ თედოს, ახსოვს მისი დარიგებები, კეთილი დამოკიდებულება... აქ მეტად გაუძლიერდა ქ-ნ ლუარას წიგნების სიყვარული და მათ გარეშე ცხოვრება დღეს ვერც წარმოუდგენია. უვლის, ეფერება, ელოლიავება ამ წიგნებს. სტუდენტებსაც ასწავლის და უნერგავს წიგნის მოვლის წესებს. 16 წელი იმუშავა ქ-ნმა ლუარამ ამ განყოფილებაში, შემდეგ ის სამკითხველო დარბაზში გადაიყვანეს და ასე გავიდა წლები და ათეული წლებიც. ქ-ნ ლუარას არ ესაჭიროება კატალოგების ძებნა საჭირო წიგნების აღმოსაჩენად. ამბობენ, „ბებერი ხარის რქაც ხნავსო“. ეს გამოთქმა სწორედ ლუარაზეა. სხვაგვარად არც შეიძლება. მან ხომ 50-ზე მეტი წელი სტუდენტების, ასპირანტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ლექტორების სამსახურში გაატარა. სულ ზეპირად იცის, რა აქვთ და რა — არა. იცის თითოეული წიგნის ისტორია, რომელი როგორი მოვლილია, ხომ არ აკლია გვერდი, სად დევს, ვის ჰქონდა წაღებული სულ ბოლოს და როგორ ან როდის მოიტანა და ა. შ. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორ დააბრუნებენ მკითხველები წიგნებს. ბევრ მათგანს დაზიანებული წიგნები მოვლილი, დაწებებული, მოწესრიგებული მოაქვს. ასეთ წიგნებს ცალკე აღრიცხავს და აქებს წიგნისმომვლელ მკითხველებს. ცალკე სიაც კი აქვს წიგნისმოყვარული სტუდენტების და ლექტორებისა.

მიუხედავად ქ-ნი ლუარას საოჯახო ტრამვისა, ის ყოველ დილით თავის დროზე და უფრო ადრეც კი ცხადდება სამსახურში. მას არ აშინებს არანაირი ამინდი. ხალისით, საქმის სიყვარულით ასრულებს თავის სამსახრებრივ მოვალეობას. არის მოწესრიგებული ადამიანი. მკითხველებისაგან უკან დაბრუნებულ წიგნებს იმწუთშივე თავის ადგილს უჩენს, რომ შემდეგში ამ წიგნის მოძებნა არ გაუჭირდეთ. ყველას, სტუდენტი იქნება ის თუ ლექტორი, სამკითხველოში შემოსვლისთანავე ფეხზე წამოდგომითა და პატივისცემით ეგებება. ასე იყო ახალგაზრდობაში და ასეა დღესაც.

იმ წარმატებებში, რაც ჯერ პედინსტიტუტს ჰქონდა და ახლა უნივერსიტეტს აქვს სტუდენტებისა და დოქტორანტების წარმატებული აკადემიური მოსწრების, უამრავი დისერტაციის მომზადებისა და დაცვის, თუ ლექტორ-მასწავლებლების სამეცნიერო მუშაობის საქმეში, ქ-ნი ლუარას წვლილიცაა. ერთი პატარა აგური ამ მნიშვნელოვან საქმეში ქ-ნმა ლუარამაც მიიტანა. ჩვენი საქმიანობა ხომ ბიბლიოთეკის გარეშე წარმოუდგენელია.

„წამია წუთისოფელიო“, — ამბობს. რა დამავიწყებს იმ წლებს, ბიბლიოთეკის ახლანდელი კორპუსის აშენება რომ გადაწყდა, რა სიხარული გვქონდა თანამშრომლებსო (მანამდე ხომ ორსართულიან შენობაში იყო ბიბლიოთეკა მოთავსებული ახლანდელი სამედიცინო კორპუსის ადგილზე), მაგრამ რა კოლოსალური შრომა დაგვჭირდა, ეს საქმე რომ მოგვეგვარებინაო. სულ ჩემი ხელით მაქვს ერთად შეკრული ყველა წიგნი და დაბინავებული, მერე გადმოტანაზედაც მთელი ზაფხულობით მიმუშავებია. ახლა ახალ ბიბლიოთეკაში წიგნების თაროებზე დალაგებას არ იკითხავთ? იქაც სიამოვნებით ვსაქმიანობდით თანამშრომლები, გვიხაროდა, რომ საქმეს ვაწესრიგებდითო. ნეტავი იმ დროს, მე, პირადად, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ჩემს ძალასა და ღონეს ქვეყნის სამსახურისათვის არ ვიშურებდიო.

ქ-ნი ლუარა წლების მანძილზე პედინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებს ლექციების კურსს უკითხავდა წიგნთან მუშაობის საკითხებზე. ასწავლიდა კატალოგებზე მუშაობას, ბარათებზე წიგნების ამოწერას, წიგნის მოვლა-პატრონობის წესებს. ამას შედეგიც კარგი ჰქონდა. ბევრმა სტუდენტმა მისი გულთბილობისა და ყურადღებისათვის ისე შეიყვარა ეს ქალბატონი, რომ წლების შემდეგ ამა თუ იმ რაიონიდან ურეკავენ, ეხმიანებიან და მის ამბებს გებულობენ. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა, ლანა კოკაიამ კი, რომელსაც ამჟამად ეს საქმე ხელეწიფება, სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ქ-ნი ლუარას ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და 2016 წლის დეკემბერში მასალები ქ-ნი ლუარას შესახებ მოათავსა კომპიუტერში მისამართზე: http://www.kutaisipost.ge აქ ნახავთ სიყვარულით გამთბარ ფოტომასალიან გადაცემას ბიბლიოთეკარზე ქუთაისში, რომელიც „წიგნებს ნახევარ საუკუნეზე მეტია უვლის“.

ქალბატონ ლუარას ფაქიზი სული აქვს. მას წიგნებთან ერთად უზომოდ უყვარს ყვავილები. საკუთარ ეზოში თავისივე ხელით მოშენებული ყვავილებით უნივერსიტეტში სხვადასხვა ღონისძიების დროს ხშირად ხელდამშვენებული დადის. მეგობრებისათვისაც არაერთხელ მიურთმევია.

იცის ადამიანის გვერდით დგომა.

არ ივიწყებს პენსიაში გასულებს, ხშირად ეხმიანება და დადის მათს სანახავად. ბევრჯერ მომისმენია მისგან, ჩიტო ჩხაიძის ამბავი არ გამიგია და ვერ ვისვენებ, სანახავად უნდა წავიდეო და რამდენჯერ იყო ლანჩხუთში ჩასული ქ-ნი ჩიტოს მოსანახულებლად. ნეტავ მადლენა ხოჯევანიშვილი როგორ არისო. ხანდახან აწ გარდაცვლილ თამაზ მეძველიას, თამარ ახვლედიანს, რუსუდან ხელაძეს, ანგელინა აფხაიძეს, ქეთო ახობაძესა და კლარა რამიშვილსაც მოიხსენიებს სინანულით. მანია ჯულაყიძესა და თინა გრძელიშვილზე საუბარი არ სწყინდება. წლების მანძილზე ლენა ფირცხალაშვილთან, მარო ჭელიძესა და მერი ზედაშიძესთან ერთად ვიმუშავეო, — იგონებს. რა კარგი კოლექტივი იყო, ერთმანეთის იმედი დედმამიშვილებივით გვქონდაო.

ასეთ ამაგდარ თანამშრომლებს დღეს უნდა მოვუფრთხილდეთ, თვალებში მივაჩერდეთ, ვასიამოვნოთ, საქმე შევუმსუბუქოთ, წარმოვაჩინოთ, სიცოცხლე გავულამაზოთ, სითბო და სიყვარული ვაგრძნობინოთ, საქმით გავაგებინოთ, რომ ყველაფერი ვიცით მათი განვლილი გზის შესახებ. მათი მარტო სამსახურში გამოჩენაც კი დიდი სიმდიდრეა ჩვენთვის.

ქ-ნო ლუარა, თქვენი ყურადღების, გულისხმიერების, კეთილშობილების, ჩვენზე გამოჩენილი მზრუნველობისთვის დღეს თქვენ არა მარტო ჩემგან, არამედ უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ყველა თანამშრომლისგან მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა.

წინასწარ გულით გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს — ბიბლიოთეკარის საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევეს და ყველა იმ დადებითი თვისების სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნებას, რაც უხვადაა თქვენში.

ი.რ.

გადარჩენილი ოაზისი

დიახ, ის ვიპოვნე! — ჩემი წილი "გადარჩენილი ოაზისი"! ... კარგა ხანს დავდიოდი "ყოფიერების გარუჯულ, გადახრუკულ ველზე" იმის ფიქრით, რომ რაც კარგი იყო — ყველაფერი დამთავრდა, რომ საძებნელი აღარც არაფერია, რომ რაც აღარ არსებობს, იმას ვერც იპოვნი! სამწუხაროდ, ამდენ ქაოსსა და უბედურებაში, საქართველოში ადამიანებმა დაკარგეს ყველაზე მთავარი — ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა. თითქოს მოჯადოებულ სამყაროში ერთბაშად აღვმოჩნდით, სადაც ველური ეგზისტენციალური ინსტინქტები ამუშავდა: — მგლობა, ბოროტება, წაგლეჯა, არდაზოგვა... ამას ყველაფერს ადრე წიგნებში ვკითხულობდი და გაოცებული ვრჩებოდი — როგორც ახერხებდნენ ცხოვრებას ასეთ ყოფაში უცხოეთში, თუნდაც ამერიკაში?! რატომ ჩნდებოდა გაუცხოება და ერთმანეთის მიუღებლობის დიდი სურვილი, გაუთავებელი მტრობა და ყველაფრის მოხვეჭის, შთანთქმის დაუცხრომელი განცდა! მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩვენი ყოფა დაცულია ყოველივე ამისგან, რომ კამიუ, თავისი ეგზისტენციალური ლიტერატურით, მხოლოდ განსჯისა და ფიქრის საგანია! უკაცრავად, ასე არ აღმოჩნდა! ეს ყველაფერი ჩვენამდეც მოვიდა. მოვიდა და თანაც რა ძალით!

უფალი ხედავდა ჩემს "ხეტიალს უდაბნოში" — ჩემს უიმედობას... და ბოლოს მომცა გზა — დღეს ნამდვილად აღარ ვარ მწირი მეუდაბნოე! დღეს მე ბედნიერი ვარ, რადგან ჩემს ირგვლივ უამრავი კარგი ადამიანია — ისინი, ვისითაც ამაყობს ჩემი ქალაქი. ისინი ჩემს გარშემო ტრიალებენ — ინტელექტუალური, ლამაზი სულის და ნათელი გონების ადამიანები, რომლებიც საოცარ სითბოს და სინათლეს ასხივებენ! ... და გაჰქრა უკუნი, ეჭვი და უიმედობა! მადლობა ღმერთს! ქუთაისს ჰყავს ლამაზი შვილები, შენახული აქვს დიდი სიყვარულიც და საყოველთაო ლანძღვისა და განქიქების დროში აქ შეიძლება სიხარული და ბედნიერება იგრძნო. დიახ, ეს ჩემი ქალაქია,. ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი, ჩემი საზოგადოება "ქუთაისელი" — "გადარჩენილი ოაზისი"!

ქეთევან უკლება
ასოცირებული პროფესორი

პოეზია უპირველეს ყოვლისა!

ბექან ქუთათელაძე

***

გადავლილია გზები...
და დაღალული გული,
ის რაც მინდოდა მეთქვა
ათიათასჯერ თქმული.

ჩემთვის ახალი-ძველი,
მშობლიური და უცხო,
გულს მიხარებდა ადრე,
გულისთქმას ღღესაც ვუწყობ.

ახლა გავლილი წლების
ნაკლები არის ძრწოლა,
მაგრამ ჯერ კიდევ დარჩა
მოუგებელი ბრძოლა.

***

ჩემს სარკმელთან ვერცხლის
დილამ
გადიყარა ღამის ბინდი
და ცხოვრებაც ძველებურად,
უდარდელად მიდის-მიდის.

წლები თავქვე ექანება,
ბედმა მწარედ მცემა-მგვემა.
ვერ მოგისწარ, გამასწარი
და შემასწრო ზღვაში გემმა.

როცა ავყევ ფიქრის კიბეს,
თავს დამადგა დილით დილა.
ასეთია ბედი კაცის -
იმედი კვლავ მოფენილა.

***

მზემ გაიღვიძა, გააღო თვალი,
სხივი მოჰფინა ჩემს ირგვლივ
სერებს,
ჩიტებმა ტყეში იწყეს ჟღურტული,
ბიჭები სახლში ელესთან მღერენ.

საამო ჰანგით ივსება არე,
ცაში ფოთლები მღერიან ქარზე,
გული ივსება მომავლის ნავლით,
როგორც ხელადა მიდგმული
ღარზე.

***

ნელი ნაბიჯით მიხვალ,
ღღეს არსად არ იჩქარი,
წვიმამაც გადაიღო,
ჩადგა აშარი ქარი.

იქით ბაღნარი ყვავის,
აქეთ ვარდებსა ითვლი,
მსხლის კენწეროსა ხედავ
და შეამჩნიე ფითრი.

თვალწინ დაგიდგა მამის
მცინარე სახე უცებ,
შემოგეყარა დარდი
და ის მიანდე ფურცელს.

ქაღალდი რამდენს ითმენს
ყველა ჩვენგანის წუხილს...
მთვარეც ხომ ბევრსა ხედავს,
მაგრამ მუნჯია, თავს ხრის.

მხოლოდ წლებია, წლები,
მხრებზე რომ მყარად გაზის.
ჩამოგათოვა თმებში,
თვალზე ჩამოწვა ნისლი.

შენ უნდა შეძლო კვლავაც
უყურო მზეს და მთვარეს.
იმედის შუქი ბრწყინავს,
გაგახელინებს თვალებს.

ენგური

ჭიუხებს მიჰყვება გზები
და ქრის აშარი ქარი,
ენგურის ისმის ხმები
საშიში, ჯადოქარი.

ტალღა ასკდება ტალღას,
წარმოიქმნება ქაფი,
ქაფი წმინდა და სუფთა
ისე, ვით სვანი ქალი.

მოაქვს ქვიშა და ღორღი,
კლდეს ეხეთქება მხარ-მხარ.
შენს შემხედვარეს მინდა
ვთქვა, რომ საშიში რამ ხარ.

სვანი კაცისთვის სენი
ახლო დგას სილამაზე,
თითქოს ჩვილივით მთებმა
გადაგიწვინეს მკლავზე.

***

რომ არ ვთქვა, მაინც დამწყდება
გული,
იას რაც ვერ გითხარ, საშინლად
მტკივა.
ჰორიზონტს მიღმა მოცანდა
ზოლი,
ცისარტყელაში ვხედავდი მიზანს.

ზოგჯერ იღბალიც სჭირდება
სურვილს,
ბედისწერასაც აქვს დიდი როლი
და მე ვერ შევძელ მაშინ რამ
მეთქვა,
გადამელახა წითელი ზოლი.

***

გულმა ჩიტივით შეიფრთხიალა,
რომ დაგინახე შენს აივანზე,
შიშველი მკერდი როგორ ელავდა
და ირეკლავდა მზის სიკაშკაშეს.

შენს სტიქიაში იყავ გართული,
არსად მოჩანდა ია-ვარდები,
თვალგახილულმა გზა
გავაგრძელე,
მაგრამ მგონია სადღაც ვვარდები

***

მიტოვებულ კარ-მიდამოს,
გადუარა ეკალ-სურომ,
ვინ გამიგებს, ვის რა ვუთხრა,
გული მტკივა სხვაზე უფრო.

ხეთა ჩრდილი მესალმება,
ისე როგორც ძვირფას სტუმარს,
იქვე მურაც მომეგება
წკმუტუნით და ფეხზე მსუნავს.

ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიარე,
მე ბავშვობის წლებსა ვეძებ,
ვეძებ იმას, რაც დავკარგე,
მითხარით, რომ პოვნას შევძლებ.

მიშიკო აბულაძე

მერი

არ დამტოვო, ვიყინები მერი,
შენს დარჩენას ლურჯი ფერი
დაკრავს,
მე ვარ თითქოს მთვარის რუხი
მტვერი
და ნელ-ნელა ქარი მიმოფანტავს.

ვიცი შენგან შორს წამიღებს ქარი,
გულგაგლეჯილს და სრულიად
მარტოს.
მერი ახლა როგორ ვიყო წყნარი?!
მერი ახლა ვერაფერი მართობს!

მომეწყინა და არ მინდა ფიქრი
(რა დარჩება ნამსხვრევების
გარდა?)
დრო კი, როგორც ტატოს
რაში,მიქრის,
მაგრამ მაინც არ ეშვება ფარდა.

მე კი მინდა დასასრული ვნახო,
სინანული გულზე ტკივილს
ქარგავს,
თუმცა იცი, რომ არაფერს არ
გთხოვ
და უბრალოდ ქარი
მიმომფანტავს.

თოვს

დეკემბერს თან მოჰყვა
ნანატრი თოვლი
და რაღაც ყოველთვის თან
მიაქვს დროს.
ნისლი და ძახილი სივრცეთა
შორის...
თოვს...
მე ვრჩები ჩემს თავთან მარტო და
დაღლილი,
ბავშვური ფიქრები მიდიან შორს,
ვიპოვე მყუდრო და პატარა
ადგილი...
თოვს...
ფანჯარა სველია და თითებს
მისველებს
და გული უცნაურ სიმშვიდეს
გრძნობს,
მე ჩემი შექმნილი სამყარო
გიჩვენე...
თოვს...
დეკემბერს თან მოჰყვა ნანატრი
თოვლი,
პატარა ბიჭუნა დარჩენას მთხოვს,
ნისლი და ძახილი სივრცეთა
შორის...
თოვს...

საკურა

საკურა თოვდა, ვარდისფერი
ფიფქებით თოვდა,
საყურე შენი თვალს მჭრიდა და
იმედი მქონდა.
გარსშემოკრული ვით ჯავშანი
რაღაც იმედი,
ვიყავი ჩუმად,სიტყვის თქმასაც
არ ვაპირებდი.
იყო ბურუსი, ნისლი ჩემი ჩუმი
გოდება
და ვინ ვიყავი მე მანამდე არ
მაგონდება.
ახლა იმედის ნაცვლად სევდამ
დაისადგურა
და მაინც მალე აყვავდება სადღაც
საკურა.

მორიარტ

მორიარტ ღამდება, ტანჯვისგან
მიხსენი,
შენ სხვა ხარ და მაინც სიკვდილი
მაშინებს.
ეგ შენი თვალები ცასავით
ცისფერი
მოკვდიო ამბობს და უფსკრულზე
მანიშნებს.

მე ვფიქრობ ხშირ-ხშირად იმაზე
რაც იყო
და მსგავსი ფიქრის დროს ვივსები
განცდებით.
მორიარტ,მორიარტ ჩემსავით
დაღლილო
ჩვენ ალბათ ამ ღუელს
ვერასდროს გავცდებით.

ასეა და თუმცა შენც სულში
ქარი გყავს
ძლიერი,მამაცი და მაინც
ორგული,
ნებდები სიმცირის საბრალო
ქარიშხალს
ჩემსავით დუელში მარტივად
მოკლული.

შენივე ხელებით, შენივე
დამბაჩით.
გატყვია იარა საბრალო
ცოდვილი.
რას იზამ,ცოცხალი ვერცერთი
გადავრჩით
და ალბათ მოკლულებს არავინ
მოგვივლის.

მოდიან ყორნები, ხმა გესმის
მორიარტ?
მოდიამ მგლები და მოდიან
სვავები.
შეხედე მორიარტ სვავები მოდიან
რას იზამ? მათ მკვდარი სად
დაემალები?

ვილოცებ შენს გამო თუკი ეს
გიშველის,
გპატიობ ყველაფერს დარდი ნუ
გაგყვება.
მეც ვკვდები, მილიონ ნაწილად
ვიშლები.
მორიარტ, მორიარტ, შეხედე
ღამდება.

***

(ტაო-კლარჯეთი, 2015 წ.)
მე რომ საქართველო დამეკარგა
ახლა დავიბრუნე მგონი
და სისხლს მყივანას და
ამღერებულს
ვერ გააჩუმებენ დრონი.

ჩემი სიხარულის ნაწილაკებს
ირგვლივ მიმოფანტავს გული,
ვიცი ბევრი რამ გადაიტანე
ენითაღუწერლად რთული,

მაგრამ გადარჩენილს რადგან
გხედავ
არ მსურს გავიხსენო ძველი.
შენმა გამძლეობამ გამაკვირვა,
სხვა ბევრ საოცრებას ველი.

რაღაც მშობლიური შემიყვარდა,
ვერ გადავიყვარებ ვატყობ.
მე ის მიხარია რომ შენს
სათქმელს
კვლავაც ჩვენებურად ამბობ.

წერტილი სამკუთხედს გარეთ
სოლიდურ პოეტთა მიდის
პროცესია,
მიდიან ნელ-ნელა, სქელ-ქსელი
ტომებით.
ლექსი ვერ იქნება მხოლოდ
პროფესია
ამიტომ მინდა ვიყო
განმარტოებით.

ქედმაღალ პოეტთა მოდის
პროცესია,
მოდიან ჩქარ-ჩქარა, თხელ-თხელი
ტომებით,
ახლა მისვლა-მოსვლა მხოლოდ
პროცესია
ამიტომ უნდა ვიყო
განმარტოებით.

მაგრამ ვინ შემიშვებს წრეში
მარტოსულთა?
იქ არ მიმიღებენ, იქ მე არ
მელიან.
ალბათ მარტოობა ამის გამო
მძულდა,
ახლა ყველაფერი ჩემთვის
ნათელია.

ადამიანებს

ლაბირინთები არ მთავრდება,
მინდა იცოდე.
გაურკვევლობამ გამოაშრო
აქაურობა.
უერთმანეთოდ ხელს სხვა აღარ
გამოგვიწოდებს
რადგან მოვწყინდით ღმერთსაც,
როგორც ძველი ხუმრობა.

არ დაგველია მიზეზები-რატომ და
რისთვის,
გამარტივებით გავირთულეთ
მეტად ცხოვრება.
ყველა ლოგიკით ჩვენ ვიყავით
სასჯელის ღირსი
რადგან გეჩვევია შეცდომების
განმეორება.

ჩვენ გვეშინოდა უამრავი სწორი
ცვლილების
და ვიყუჩებდით მკურნალობის
ნაცვლად იარებს.
მიუხედავად თაობების
გამოცდილების
ისევ იგივე სენი გვღუპავს
ადამიანებს.

მზე მათ თვალებში

მზე მათ თვალებში აკანკალდა
როგორც სანთელი,
სხეული მისი დაასუსტა დროის
დინებამ
და ახლა ბოლო წერტილია
გამოსათვლელი
სანამ სიბნელის მკლავებს შორის
ჩამქინება.

მაგრამ კაშკაშებს, ის კაშკაშებს
თუ შევიშალე?
და ჩემს სიგიჟეს ადასტურებს
მთელი სამყარო,
ხოლო ჩემს ყელში ტკივილი და
სრული სიმშრალე
მე მაიძულებს შევეგუო
ულაპარაკოდ...

მაგრამ ერთხელაც ვერ გავუძლებ
ამდენ სიჩუმეს,
ვერ დამალავენ სამუდამოდ
სათქმელს ლექსები
და ყველა სიტყვას თავის ადგილს
როცა მივუჩენ
ახალ დინებას მივუშვებ და
გამოვეცლები.

ყოფის ბურუსი

რაც იყო იყო,არა იყო ყოფის
გარეშე,
შენც დავიბადეთ ნამყოფიდან მერე
სამყოფად.
ჩვენ გავეჩხირეთ მთელს სამყაროს
თითქოს თვალებში
და მოვესწარით ჩვენი სულის
ორად გაყოფას.
ზოგმა დატოვა ყველაფერი ზეცის
გულისთვის,
ზოგმა მიწაზე მიმობნეულ
მტვერში იგორა,
მაგრამ ამ კითხვას ვერ გავეცი
ზუსტი პასუხი:
თავდაპირველად რა იყო თუ არა
იყო რა?

***

მე სიჩუმე ვარ გაბზარული და
მოსაწყენი,
მე სიჩუმე ვარ და არ ვიცი საით
მივდივარ.
მაინც მაღელვებს მშვენიერი
თვალები შენი
გამოპარული ლურჯი ღამის
ზღაპრულ სიზმრიდან

ნუ გაიოცებ არ არსებობს აქ ჩემი
ბრალი
და მაინც ვიცი, რომ არ გინდა
უაზროდ მოვკვდე.
ჯერ არ ვყოფილვარ მე არასდროს
ასეთი მთვრალი,
ჯერ არ ვყოფილვარ ასე სუსტი
მინდა იცოდე.

აზრდაკარგული გახდა იგი, რაც
ადრე მწამდა.
მე შევიცვალე და ცვლილება არის
თვისება...
ცვალებადია ყველაფერი
ცვლილების გარდა,
მაგრამ რთულია ამ ყველაფრის
გათავისება.

სწორედ ამიტომ დაიწვება ჩემი
სხეული,
თუმცა არ მინდა ვთქვა რომ არის
ეს განაჩენი,
რადგანაც ეს ცა თუმცა შორი და
წართმეული
არაფერია სხვა თუარა თვალები
შენი.

გოგი შავგულიძის ხსოვნას!



გოგი, გიორგი შავგულიძე... ჩემი სტუდენტობის მეგობარი. მიმძიმს მასზე ვისაუბრო წარსულ დროში, თუმცა უფალმა ასე ინება და თავს ვალდებულად ვთვლი რამდენიმე შტრიხით შევეხო გოგის ცხოვრებისეულ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

სკოლის დამთავრების შემდეგ გოგი შავგულიძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. მე უკვე იმავე ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, და როგორც ქუთაისლებს ჩვევიათ, დედაქალაქში სწავლის დროს, ბუნებრივია ვმეგობრობდით. ხალისიანმა, კომუნიკაბელურმა, ქარიზმატულმა ბიჭმა მაშინვე მოახერხა სტუდენტებს შორის ავტორიტეტის მოპოვება. მალე მთელი ფაკულტეტი იცნობდა, როგორც კარგ სტუდენტს, კარგი იუმორის მქონეს და საუკეთესო ორგანიზატორს. გოგი გახლდათ საოცარი ესთეტი, ბუნების მოტრფიალე. დღეს ძალიან ვუმადლი, რომ არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, სტუდენტობისას რომ არ მოგვენახულებინა.

სტუდენტობის პერიოდში, ერთად ვხელმძღვანელობდით ფაკულტეტზე არსებულ სამეცნიერო წრეს. ბუნებრივია, ჩვენც აქტიურად ვმონაწილეობდით სამეცნიერო კონფერენციებში. გოგის მიერ წაკითხული ყოველი მოხსენება იყო საინტერესო და სიახლის მომცველი. უნდა მადლიერებით აღვნიშნო. რომ ჩვენი ლექტორ—მასწავლებლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება კარგი განათლება მოეცათ ჩვენთვის. თუ სტუდენტობაში წიგნიერებას შენიშნავდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ ახალგაზრდების პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის. გოგის ნიჭიერება არ გამოეპარა ფაკულტეტის ერთ-ერთ წამყვან პროფესორს ბატონ არჩილ ბეგიაშვილს. ერთად შეეჭიდნენ დასავლური ფილოსოფიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს.

მეორე იყო ისევ ერთობლივი მუშაობა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე. გოგის თავისუფალი ბუნება ძნელად ეგუებოდა მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დისციპლინას, ხშირი იყო წინააღმდეგობები...

დაიწყო ეროვნული მოძრაობის წლები. ამ წლებს გოგისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი აქტიურად ჩაება ამ მოძრაობაში და ვინც მას კარგად იცნობდა, ბევრი რამაა ცნობილი ამ პერიოდიდან... საკანდიდატო დისერტაციის დაუცველობის საბაბით მან პოლიტექნიკური ინსტიტუტი დატოვა. წლები გადიოდა, ჩვენ მისი მეგობრები თვალს ვადევნებდით გოგის ცხოვრებისეულ მომენტებს. გვიხაროდა მისი თითოეული წარმატება და ვწუხდით წარუმატებლობის გამო. აღსანიშნავია მისი ბიოგრაფიიდან ფრაქცია ქრისტიან—დემოკრატების თავმჯდომარეობა, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორობა, საკრებულოს იურიდიული კომისიის ხელმძღვანელობა ... გაუგებარი უმუშევრობის წლები, ბრძოლა, სასამართლოები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მან მოიგო სასამართლო პროცესი საჯარო დირექტორის პოსტიდან მისი უკანონო გათავისუფლების გამო. თუმცა გოგის შემთხვევაში სამართალმა პური ისევ ვერ ჭამა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას მოთმინებით ელოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ამ დროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტმა იგი სამუშაოდ მიიწვია. ბოლო წლებში იგი კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიასა და ფილოსოფიურ დისციპლინებში.

მომსწრე ვარ იმისა, როგორ მოსწონდათ მისი ლექციები სტუდენტებს. ხშირად მინახავს, ზარი დაირეკებოდა და გოგი თავისი ხიბლითა და მისთვის ჩვეული ინტონაციით კვლავ აგრძელებდა საუბარს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და ჩვენ, მისმა მეგობრებმა ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ამ მხრივ მაინც წასულიყო იმქვეყნად გულსავსედ.

გოგი შავგულიძე ავტორია წიგნისა: „ფრანგული სტრუქტურალიზმის მეთოდი". ვისაც ეს წიგნი წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ ეს არის სრულიად ახალი ფილოსოფიური პრობლემა, გულისხმობს ახლებურ მსოფლმხედველობრივ აღქმას და აზროვნებას. წიგნი სასიამოვნოდ იკითხება და პასუხს სცემს მრავალ ფილოსოფიურ პრობლემას.

იგი ავტორია მრავალი სამეცნიერო სტატიისა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ პრობლემაზე მიძღვნილი ბოლო სტატია, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა ფილოსოფიურ და ლიტერატურულ წრეებში.

ბევრი რამ შეიძლება ვთქვათ გოგის შესახებ. ის იყო საუკეთესო მამა. ხშირად შემხვედრია სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე შვილებთან ერთად აცნობდა მათ ქალაქს, მის კულტურას, უყალიბებდა ზნეობრივ და ესთეტიკურ ღირებულებებს.

მწყდება გული. თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდამ დაგვტოვა. მიჩნდება კითხვა: მისი დაავადება ხომ არ იყო პროვოცირებული იმ სტრესული ცხოვრებით, რომელიც მას არგუნა ბედმა. გონიერი, ახალგაზრდა, ინტელექტუალური კაცი ხშირად იყო უმუშევარი, უსახსრო, მეგობრებისა და ოჯახის იმედად, თავმოყვარეობა შელახული... ასე მგონია, რაღაც დავაკელით გოგის, ვერ გავუფრთხილდით.

მსუბუქი იყოს მისთვის იმ ქალაქის მიწა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა. იცოცხლა ლამაზად, ზნეკეთილად, კაცურად. თავი დაგვამახსოვრა, როგორც მოაზროვნემ, კეთილშობილმა, ღირსეულმა ქართველმა კაცმა. იშვიათად მინახავს ამ ბოლო დროს ამდენი ცრემლი, ამდენი კარგი სიტყვა. რაც ძალიან დამამახსოვრდა, გულწრფელი ცრემლები სდიოდათ მის მეგობრებს, მამაკაცებს. და, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ღირსეულად ცხოვრება ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ამით ადამიანი ძეგლის უდგამს საკუთარ თავს. გოგი შავგულიძემ ეს მოახერხა.

მშვიდობით მეგობარო.

მანანა ბანძელაძე
ფილოსოფია—ფსიქოლოგიის
დეპარტამენტის სახელით

დრო ვერ განაურნავს სიკვდილსა....

ჩვენი უნივერსიტეტის ფილოსოფია—ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პერსონალმა, მასთან შეხებაში მყოფმა, თითოეულმა სასწავლო-სამეცნიერო თანამშრომელმა და მრავალრიცხოვანმა სტუდენტობამ, განიცადა უდიდესი სულიერი ტრამვა ფილოსოფიის პროფესორის, შესანიშნავი ქართველისა და სწორუპოვარი მეგობრის, ვახტანგ მენაბდიშვილის, მძიმე და განუკურნებელი ავადმყოფობის შედეგად გარდაცვალების გამო, შეიძლება ითქვას, მისი აქტიური, შემოქმედებითი შესაძლებლობების გაფურჩქვნისა და აყვავების ასაკში. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა ფრიად დამაფიქრებელი, ბოლოდროინდელი სიკვდილიანობის გაზშირებული სტატისტიკის მიუხედავად, ბატონი ვახტანგის უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან, ისევე როგორც სხვა დიდებული და ფასდაუდებელი პიროვნებისა, გახლავთ უდიდესი ტკივილის განცდისა და აუნაზღაურებელი დანაკლისის მაუწყებელი, რაც კიდევ ერთხელ გვავალდებულებს ყოველ ჩვენთაგანს, რომ ამ ხანმოკლე წუთისოფელში განსაკუთრებით გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ ერთმანეთს, და ბოლომდე ღირსეულად ვზიდოთ თანაგრძნობის, სიყვარულის, მზრუნველობისა და მაღალზნეობრივი პასუხისმგებლობის საპატიო ტვირთი. ბატონი ვახტანგი იმდენად დაჯილდოებული იყო ღვთისგან ბოძებული საუკეთესო ადამიანური თვისებებით: სიკეთით, პატიოსნებით, ერთგულებით, გულისხმიერებით, უბრალოებით, მოთმინებითა და თავმდაბლობის საოცარი ნიჭით, რომ ამის შესახებ რამდენიმე სქელტანიანი ტომისა და ნარკვევის დაწერაც თავისუფლადაა შესაძლებელი, მაგრამ მაინც, რაც არ უნდა გამოითქვას და დაიწეროს, იმ ლამაზი, დაუვიწყარი დღეებისა და საათების გახსენება ყოველთვის დაკავშირებული იქნება დაუშრეტელ სევდასთან, ნაღვლიან ღიმილთან და თვალებში დაგუბებულ, მორიგ ცრემლთა ნაკადთან, რაც არათუ შეასუსტებს, არამედ რამდენადმე გააათკეცებს მისადმი გამოხატულ სითბოს და ღირსეულად დამსახურებულ, გამორჩეულ პატივისცემას.

საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში დიდი იშვითობაა ისეთი ღვაწლმოსილი პიროვნებები, მეცნიერული, კულტურული, ხელოვნებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის სფეროში, რომლებიც თავიანთი ნაყოფიერი ცხოვრების მთელ სიგრძეზე, ერთნაირი მზრუნველობით, კეთილშობილებით და უანგარო ქველმოქმედებით ხასიათდებოდნენ, სწორედ ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ ვახტანგ მენაბდიშვილი, რომელსაც ჩვენი არაპოპულარული, ხელოვნურად შეზღუდული ასპარეზისა და დიაპაზონის მიუხედავად, მის იმედად მყოფ, დიდ-პატარა ხალხისა თუ შორ-მახლობელ მოყვასთა მიმართ, თავისი მოჭარბებულ მადლსა და ამაგს არასოდეს, ოდნავაც არათუ რაიმეს აკლებდა, არამედ სიცოცხლის ბოლომდე, ლამის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ამატებდა და ამატებდა ძალღონის დაუშურველად და თვალის დაუხამხამებლად, რათა გამორჩეული წვლილი შეეტანა, თითოეული მისი ახლობლის, მეგობრისა და თანამშრომლის მიმართ შემწეობის აღმოჩენის საკითხში. ბატონი ვახტანგი იყო არაჩვეულებრივი მამა, სამაგალითოდ ერთგული მეუღლე, ტკბილი ბაბუა და რაც მთავარია, მხურვალე გზნებით გულანთებული პატრიოტი, მამულიშვილი და ჭეშმარიტი რწმენით აღვსილი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომლის შრომას, შემოქმედებას, ლოცვასა და ფიქრს უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია და ღირსახსოვარი ნაამაგარიც უხვად დაგვიტოვა.

როგორც წესი და ვალდებულება მოითხოვს, აუცილებელია შევეხოთ ბატონი ვახტანგის საინტერესო და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, მის როგორც შინაარსობრივად, ასევე მოცულობით მდიდარ სამეცნიერო-პედაგოგიურ ნამოღვაწართან ერთად, რაც ერთგვარად კიდევ უფრო განამტკიცებს მისდამი გამოხატულ ამაღლებულ გრძნობას, მეგობრულ სულისკვეთებას და გამორჩეულ პატივისცემას. მას დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით მოიხსენიებენ მისი სტუდენტობის დროინდელი თანაკურსელები, რომელთაგან ბევრმა მათგანმა შესაძლოა არც იცოდეს მისი მძიმე ავადმყოფობისა და უდროო გარდაცვალების ამბავი, ამიტომ როცა შეიტყობენ, რა თქმა უნდა, საშინელი გულისტკივილით მწარედ მოისაკლისებენ, თუმცა დროს უკან ვერ დავაბრუნებთ და მომხდარს მაინც არაფერი არ ეშველება. თავისი არც თუ ხანგრძლივი, მაგრამ დრამატიზმით სავსე სიცოცხლის მანძილზე, მას უამრავი დაუმსახურებელი წყენა, უსამართლობა და იმედგაცრუება ისე უდრტვინველად, სტოიციზმის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი ოლიმპიური სიმშვიდით აუტანია, რომ არასოდეს შურისძიების განცდა არ დაუფლებია და სერიოზული ბრალეულობის უტყუარი მტკიცებულების მიუხედავად, ხმამაღალი აუგი არავისზე არ წამოცდენია, ხშირად, როცა სხვები ბრაზდებოდნენ აღნიშნული უმსგავსობის გამო, ის იქეთ აწყნარებდა სუყველას და მხოლოდ მამაზეციერს მიანდობდა საჭირბოროტო მსჯავრს. ეს ყველაფერი ისე არ უნდა გაიგოს მკითხველმა, რომ თითქოს ბატონი ვახტანგი მოკლებული გახლდათ ბრძოლისუნარიანობას და მანკიერებისადმი გარკვეულ შემგუებლობას იჩენდა — არამც და არამც! — მას შესაძლოა, საკუთარი უფლებების დასაცავად დიდად თავი არ გამოედო, თუმცა, ვერაფრით აიტანდა არამც თუ მეგობრისა და კოლეგის, არამედ თვით რადიკალური ოპონენტის და არაკეთილმოსურნე მეტოქის ცუდუბრალოდ დაჩაგვრას, ზოგჯერ საკუთარი მატერიალური და სამსახურებრივი საზღაურის ფასად. მტრები ჰყავდაო, რომ ვამტკიცოთ, ნამდვილად გადამეტებული იქნება, მაგრამ ისეთი თვითმყოფადი, სიღრმისეული და ვრცელი სააზროვნო თვალსაწიერის მქონე ფილოსოფოსისთვის, როგორიც ბატონი ვახტანგია, წარმოუდგენელია იმ ბუნებრივ წინააღმდეგობათა და ბევრჯერ აკრძალული ხერხებით მომართული დაპირისპირების უქონლობა, რამაც არა მარტო არაერთხელ გული დასწყვიტა, არამედ წლების მანძილზე, მისი ჯანმრთელობაც საგრძნობლად შეარყია. ამ ჩრდილოვანი მომენტების გარდა, შედარებით უფრო შთამბეჭდავი და ღირსახსოვარი არის მისი მეცნიერული საქმიანობა და შემოქმედებითი ნამოღვაწარი, რომელიც რაც უფრო მეტი დრო გავა, მით მეტი დაინტერესებული ადამიანისთვის გახდება ცნობილი, ანგარიშგასაწევი და ამიტომაც მას ბევრად მეტი ფასი დაედება, დღევანდელობასთან შედარებით. ვახტანგ მენაბდიშვილისთვის უცხო არ იყო ფილოსოფიის რომელიმე დისციპლინაში წამოჭრილი პრობლემის თანმიმდევრული მეთოდოლოგიური დამუშავება და სისტემური თვალსაზრისის ჩამოყალიბება, თუმცა მაინც ყველაზე მეტად მისი დაინტერესების სფერო გახლდათ ფილოსოფიური ანთროპოლოგია და შემეცნების ფენომენოლოგია, რაზეც მან, თავის დროზე, დაიცვა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და აგრეთვე მას მიუძღვნა საკუთარი მონოგრაფიული გამოკვლევებისა და პუბლიკაციების თითქმის ორი მესამედი. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, მას გამოქვეყნებული აქვს სამი მონოგრაფია, ორი სახელმძღვანელო და ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო სტატია, ამასთანავე სისტემატიურად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო, რესპუბლიკურ და საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფორუმებში. ქართულ ფილოსოფიაში შეტანილი წვლილის აღსანიშნავად, 2009 წლის ივნისში, ვახტანგ მენაბდიშვილი არჩეულ იქნა კავკასიის ხალხთა აკადემიის წევრად, რაც მისი პროფესიონალიზმისა და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობის ცხად დადასტურებასა და აღიარებას ნიშნავდა. 2012 წლიდან, ქუთაისს აკ. წერეთლის უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ფილოსოფიის სპეციალობამ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი და დამსახურება მიუძღვის ბატონ ვახტანგს, რომელიც დიდ აღტაცებას და დაინტერესებას იწვევდა აღნიშნული სპეციალობის სტუდენტებში, რომელთაც ამ ხანმოკლე პერიოდში, ყველაზე ხანგრძლივ დროს უთმობდა და თითქმის, სიცოცხლის ბოლო ამოსუნთქვამდე, მათზე ფიქრით და მზრუნველობით იყო გაჟღენთილი. ვახტანგ მენაბდიშვილი, საკუთარი უნიკალური, მრავალფეროვანი, სისხლსავსე ცხოვრებით, ნიჭით, სიყვარულით, ღვაწლით, ამაგით და რასაკვირველია, მაღალ-აკადემიური საქმიანობის პროფესიონალური ცოდნით, დაუშრეტელი შემოქმედებითი პოტენციალით, მუდამ დარჩება მისი ოჯახის, ნათესავთა, მეგობართა, თანამშრომელთა და ნამოწაფარი სტუდენტობის გულებში.

ბადრი ფორჩხიძე.
ასოცირებული პროფესორი

ქეთევან დეკანოზიშვილის გახსენება

ახლა, როცა საქართველოში ლადო ასათიანის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავი დღეებია, გამახსენდა, როგორ ვმუშაობდით მე და ქეთევან დეკანოზიშვილი მიხეილ ალავიძის წიგნზე „ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია“. ამ დროს ქეთინო უკვე საკმაოდ სერიოზული ავადმყოფი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავის გულში იცოდა, რაც სჭირდა, ამას ხმამაღლა არ ამბობდა. ვითომ სხვათაშორის საუბარში გამოურევდა, ამიერიდან ჩვენი დრო დადგა, მოვკვდებით, აბა რა იქნება, ზემოთ ვინ რჩებაო. სულ ხომ არ ვიცოცხლებთო. სინამდვილეში კი ყოველ წუთს ცდილობდა გაეხანგრძლივებინა სიცოცხლე, რომელსაც ეთაყვანებოდა. ეძნელებოდა უსაყვარლეს შვილიშვილებსა და მის მიერ შექმნილ ოჯახთან განშორება.

ერთად ვმუშაობდით დაწყებულ საქმეზე, ერთად დავდიოდით საჯარო ბიბლიოთეკაში, ვამუშავებდით კატალოგებს, ვძებნიდით სტატიებს, საქმე უამრავი გვქონდა, ვოცნებობდით, ლადოს იუბილე დიდ თეატრში ჩატარებულიყო. მე, რადგანაც ვიცოდი, რომ ქეთინოს არ შეეძლო, ვცდილობდი, მისთვის მძიმე შრომა ამერიდებინა, ხელს არ ვაკიდებინებდი გაზეთების შეკვრას, მე მიმქონდა და მომქონდა, ვაკეთებდი ქსეროასლებს, ქეთინოს მხოლოდ შესადარებლად და გაზეთების თარიღებისა და ნომრების დასაწერად ვუწყობდი მაგიდაზე. ასე ვიმუშავეთ მთელი დღე ერთად. ქეთინო ძალიან კმაყოფილი დამრჩა. ცოტა რამეში ხომ მაინც მოგეხმარეო, — მითხრა. მართალია, დავიღალე, მაგრამ ჩემი მდგომარეობა დამავიწყდაო.

მერე ლადოს პერსონოლოგიური პორტრეტი ჰქონდა დასაწერი და თანაც უნდა განეხილა პოეტის ლექსები, მაგრამ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა. ძალიან მწყდებოდა გული. გამოდიოდა, რომ მარტო ქეთინოს კი არ ვკარგავდი, ჩვენი ჩანაფიქრიც ვერ შესრულდებოდა, თუ ქეთინო თავის წილ საქმეს არ დაასრულებდა, მაგრამ სწორედ აქ გამოუჩენია მას გასაოცარი მონდომება და ნებისყოფა და უაღრესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი თურმე ამ საქმეზე მაინც მუშაობდა. ეს მე არ ვიცოდი.

სანახავად მისულს ამ საქმეზე ხმა არ ამომიღია. წიგნზე ხომ არ დავუწყებდი ლაპარაკს, არც თვითონ უთქვამს რაიმე. წამოსვლის წინ გადმომცა მისი საკმაოდ სოლიდური ხელნაწერი „ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა“ და აბა შენ იცი, ამის შემდეგ შენ მიხედეო, — მითხრა. საოცარი დაწერილი იყო, ერთ სიტყვასაც არ სჭირდებოდა გასწორება. მივხვდი, მის მდგომარეობაში მყოფიც კი რა სიყვარულით მოჰკიდებია ამ საქმეს. ეს ნაწილი უცვლელად შევიტანეთ კრებულში.

დღე და ღამე გავასწორე, რომ ეს წიგნი მომესწრო და ქეთინო გამეხარებინა, მაგრამ გამომცემლობას აგვიანდებოდა. ბოლოს საქმეში „უჩინმაჩინის ხელი“ ჩაერია და ქეთინოს თბილისში გამგზავრებამდე და ოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემს მეგობარს სტამბური წესით გამოცემული რამდენიმე ცალი წიგნი გავუგზავნე. არ ვიცი, რამდენად გავახარე, მაგრამ მე კი ვისიამოვნე იმითი, რომ სიცოცხლეშივე დავანახე თავისი შრომის შედეგი.

დღეს, ლადოს 100 წლის იუბილესა და ქ-ნი ქეთევანის გარდაცვალების წლისთავზე, ჩემი ქეთინო ამ წიგნით ცოცხლად წარმომიდგება.

ი. რ.
9. II. 2017.

ვერა და ვერ დაგიტირე...

ჩემო პირმშვენიერო, სახიერო და გულიანო...

შენი ავად ყოფნის პერიოდმა ჩემი დამავიწყა, რადგან სულ მიმაჩნდა, რომ შენ უფრო მეტის გასაკეთებლად იყავი გაჩენილი, ახლაც ყურში მესმის შენი სასიამოვნო ხმის ტემბრი, დაბალ ტონში წაკითხული ლექსი.

ამ სტრიქონებს იმის შემდეგ ვწერ, რაც შენ დანებდი ბედს. იმის შემდეგ ვალაგებ აზრებს, რა სიტყვებით მოგმართო, რა მივასადაგო როგორც შენ ამბობ, შენს "ხნეობრივ სიწმინდეს, სულიერ კეთილშობილებას".

ძნელი შეიქნა ჩემთვის შენი სიტყვაკაზმულობის მქონე ადამიანს მივმართო...

ჩემო ქეთო, ქეთევან, ქეთინო როგორ მყვარებიხარ, როგორ დამაკლდი. რა კარგად მახსენდება 2015 წლის იანვარი, ზამთრის სკოლის მეცადინეობები, შენი მშვიდი., კოლეგიალური დამოკიდებულება მაგისტრანტებთან, ლექცია კი არა კოლეგების მსჯელობა, დისკუსია.

რა სიტყვა შეიძლება შეურჩიო იმ ადამიანს, რომელიც პოეტ ანა კალანდაძეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს "დღემდე ხმიანობს ჩემს სულში პოეტის მიერ მხატვრულად გაცოცხლებული ბავშვობისა და სიყრმის სანახები".

შენსავით ვინ ამოიკითხავდა ჩვენი საყვარელი პოეტის ზურაბ კუხიანიძის შემდეგ სიტყვებს: "აქ წელიწადის ყოველ დროში ცრემლშესაშრობად დედის ნაზ ღიმილს დაეძებდა ჩემი ბავშვობა"...

რამდენი ერთი გავიხსენო შენი ლამაზად და დროულად ნათქვამი: პოეტ ლილი ნუცუბიძისადმი მიძღვნილი სიტყვები.

"ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმული ქალბატონი, მეტაფორულად, თავს ქარისაგან გაწეწილ ტირიფად აღიქვამს, ხან ქეთევანის ცრემლებით ტირის, ხან მათე ბიჭის დარდი აწვალებს: ვაშლოვანელის ტკივილიც სტკივა და მშობელი მიწის სიგრძე-სიგანეს თითოეული მტკაველით ზომავს"...

სულ სამი სიტყვა დაგჭირდა პროფ. ლევან სანიკიძის გასახსენებლად — "შამულის ჭრილობათა მესალბუნე".

შენს ფრთიან, სიზუსტით შერჩეულ სტრიქონებს კიდევ უფრო ასხივოსნებს პიროვნების სიღრმისეული ამოცნობა და მისადმი გამჟღავნებული შენი პატივი.

"არადა სჭირდებოდა, ნამდვილად სჭირდებოდა უნივერსიტეტის ინტელექტუალურად შეთხელებულ დერეფნებს ბატონი დავითის (პროფ. დავით ბრეგაძე) თუნდაც უკვე შემოკლებული ნაბიჯები და დადაბლებული ხმის ტემბრი".

მშვიდობით ჩემო ქეთინო, რა კარგად თქვა მედეა კახიძემ "ცხოვრება რაა, ხან ნატვრაა, ხან გაოცება საქმეებისთვის ვეღარ ვიცლით ფიქრის მონები: გუშინდელი დღე დღევანდელზე იყო ოცნება, ხვალ კი ვიცხოვრებთ დღევანდელი დღის მოგონებით..."

მადონა ნიჟარაძე

სიკეთით სავსე წიგნი



ამქვეყნად ადამიანი მოგონებებით, კეთილი საქმითა და წიგნებით რჩება. ერთი შეხედვით, ეს ბანალური ჭეშმარიტება, რომ არცთუ მარტივია, ამას იოლად იგრძნობ, როგორც კი კონკრეტულ პიროვნებაზე დაიწყებ ფიქრს. ქეთევან დეკანოზიშვილმა იმქვეყნად დიდი გულისწყვეტა გაიყოლა და არაერთი მოგონება დატოვა, მაგრამ დრო სწრაფად მიდის, ამბავი ამბავს ცვლის და დღეს კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ სწორედ წიგნით ტოვებს ადამიანი თავის ნაფიქრსა და ნააზრევს, ტოვებს საკუთარი სულის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, შესაძლებლობას ესაუბროს და მოუთხროს სხვებს მათთვის საინტერესო მოვლენებზე მისი არყოფნის შემდეგაც. ამიტომაა, რომ წიგნი ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაშიც ინარჩუნებს გამორჩეულ ღირებულებას.

ქეთევან დეკანოზიშვილმა თავის წერილებსა და გამოკვლევებს ერთ წიგნად მოუყარა თავი და მას „სიკეთის ესთეტიკა" უწოდა. ამით ხაზი გაუსვა, რა მნიშვნელოვანი იყო მისთვის სიკეთე, როგორც ესთეტიკური ფენომენი და როგორც უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ადამიანის სრულფასოვანი არსებობისა. „ჰუმანისტური თვალთახედვით, იმ ზნეობრივ ღირებულებათა შორის, რომელთაც ადამიანი უნდა ფლობდეს, სიკეთე უპირველესია. ზეპირი და წერილობითი ლიტერატურისა და მისი კვლევის უმთავრესი პათოსი ხომ სიკეთის, შინაგანი კეთილშობილებისა და სულიერი სინათლის წარმოჩენაა", - ამ სიტყვებით ავტორმა მკაფიოდ განსაზღვრა არა მხოლოდ წიგნის უმთავრესი არსი, არამედ საკუთარი საქმიანობის მრწამსი, ცხოვრების კredo.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქეთევან დეკანიზიშვილის პროფესიონალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება გახლდათ სიახლეების კურსში მუდმივად ყოფნა, ეცნობოდა ახალ პუბლიკაციებს და თავადაც ამის გათვალისწინებით სვამდა პრობლემებს. ამაში ამ წიგნზე თვალის ერთი გადავლებითაც იოლად დავრწმუნდებით. მისი ბოლო ნარკვევები სწორედ ლიტერატურულ-ფოლკლორული თემების გადაკვეთასა და მხატვრული ინტერპრეტაციის თავისებურებებს შეეხება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ „თევდორე მღვდელი - „კრავი, ქრისტეს ზვარაკი", „მამლის სიმბოლიზაცია ქართულ ფოლკლორულ და ეთნოლოგიურ სივრცეში", „თვითშეწირვის მითორიტუალური მოდელი ნიკოლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოში". დასახელებულ და სხვა სტატიებში კარგად გამოიკვეთა, როგორი გულისხმიერებითა და სიღრმისეულად იკვლევდა იგი წამოჭრილ საკითხს და სწორედ ამის წყალობით გაიძულებდა მისი თანამოაზრე გამხდარიყავი.

ეს პატარა გამოხმაურება ისე არ მინდა დავასრულო, რომ არ შევეხო იმ წერილებს, რომლებიც ქალბატონმა ქეთევანმა თავის კოლეგებსა თუ მასწავლებლებს მიუძღვნა. ამ შემთხვევაშიც კარგად იგრძნობა, რომ მას მკვლევარი წერდა: ამჩნევდა ძალზე ფაქიზ ნიუანსებს, საყურადღებო დეტალებს წამოწევდა წინა პლანზე და სუბიექტურ ემოციას სიტყვის ყალიბში იმგვარად აქცევდა, რომ მას ობიექტური რეალობის ნაწილად ხდიდა.

სინათლითა და სიკეთით სავსე ეს წიგნი დღეს ქეთევან დეკანოზიშვილის ხსოვნის შუქია და ის ყოველთვის სითბოთი აავსებს მკითხველს.

ნესტან კუტივაძე

ახალი წიგნები

ახლან გამოიცა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის ორი წიგნი „ლაზეთი - ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები" და „თურქეთის შავი ზღვისპირეთში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან". ასევე მკითხველს მიეწოდა მურად შაპინის (ძნელაძე) წიგნი „უნიელ ქართველთა ზეპირსიტყვიერი ტექსტები". ეს წიგნი გამოსაცემად მოამზადა და შესაბამისი ნარკვევების თანდართვით გამოსცა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა.

გთავაზობთ „ლაზეთის..." წინათქმას:



ძვირფასო მეგობრებო, ახლახან გამომცემლობა "საქართველოს მაცნემ" (თბილისი) გამოსცა ჩემი ახალი წიგნი – "ლაზეთი. ისტორიულ–ლიტერატურული წიაღსვლები." ქვემოთ გთავაზობთ წიგნის გარეკანის ფოტოებს, ანოტაციას, შინაარსსა და წინათქმას.

წინათქმა

მდიდარ წერილობით წყაროებზე, დოკუმენტურ მასალებსა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით დაწერილი წინამდებარე წიგნი ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ლაზების წარსულსა და დღევანდელ ყოფაზე. აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს მისი გაცნობის შედეგად კიდევ უფრო მეტად გაუძლიერდება სურვილი იმისა, ისტორიული ავბედობის გამო ჩვენგან განცალკევებულ მომმე ლაზებთან მიზანმიმართულად რომ გავაღრმავოთ და კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ ეთნიკურ-ენობრივი ნათესაობის საფუძველზე დამყარებული ეროვნული ერთობა.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლის შემსრულებელი ერთ-ერთი ძირითადი ქართველური ტომის – ლაზების (იმავე ჭანების) მიმართ საუკუნეების განმავლობაში ჩვენგანვე გამოვლენილმა უყურადღებობამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა მათი გარკვეული ნაწილის ქართველთაგან ეროვნულ გაუცხოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის დროს მეცნიერები ხაზგასმით წარმოაჩენენ ლაზების განსაკუთრებულ წვლილს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღმშენებლობის საქმეში, XV-XVI საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიის მიერ ლაზეთის დაპყრობის შემდგომდროინდელი ისტორია, ყოფა და კულტურა ნაკლებადაა შესწავლილი.

სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში მიღწეული შეთანხმებისა და იმავე წლის 13 ოქტომბერს უკვე ოფიციალურად გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების ძალით საქართველომ ლაზური ტერიტორიების ის უმცირესი ნაწილიც კი დაკარგა თითქმის მთლიანად, რაც მას 1877-78 წლების ომის შედეგად ჰქონდა შემოერთებული.

ასე დარჩა ხსენებული დოკუმენტის ოფიციალურად ხელმოწერის შემდეგ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის სარფში გავლებული სახელმწიფო საზღვრის მიღმა ისტორიულად საქართველოს კუთვნილი მთელი ლაზეთი, გარდა სარფის ნაწილისა და კვარიათისა (ლაზების გარკვეული რაოდენობა დღესდღეობით ასევე გვხვდება ბათუმში, გონიოში, თხილნარში, მახოში, სიმონეთში...). მართალია, მეორე მსოფლიო ომში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, 1945-1953 წლებში, საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ხელისუფლება სტალინის თავკაცობით აქტიურ იდეოლოგიურ კამპანიას აწარმოებდა ჩვენი ქვეყნისთვის ლაზეთის შემოსაერთებლად, მაგრამ მსოფლიოში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად ამ იდეის რეალურად განხორციელება ვერ მოხერხდა. ოსმალეთის იმპერიის მიერ XV-XVI საუკუნეებში ლაზეთის დაპყრობის შემდეგ ლაზები არა მარტო სახელმწიფოებრივად მოწყდნენ საქართველოს, არამედ მათი გარკვეული ნაწილი ეროვნულადაც გაუცხოვდა და დაშორდა მშობლიურ ისტორიულ ფესვებს. ამ გარემოების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს ის ფაქტიც წარმოადგენდა, რომ თურქეთის დაქვემდებარებაში მოქცეულ ლაზებსა და საზღვრის აქეთა მხარეს მცხოვრებ ქართველებს შორის კავშირ-ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში ძალზე შეზღუდული იყო, საბჭოთა პერიოდში კი ფაქტობრივად თითქმის მთლიანად გაწყვეტილიც კი.

ამ ურთიერთობის აღდგენას საფუძველი მხოლოდ რამდენიმე საუკუნის გასვლის შემდეგ ეყრება და ისიც ნაწილობრივ – 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, როცა ჩვენს ქვეყანას კვლავაც შემოუერთდა ისტორიული ლაზეთის უმცირესი ნაწილი (სოფლები: სარფი, კვარიათი, ვიწე (ლაზების სახელდებით, ბღეთი), ათინა (ამჟამინდელი ფაზარი), მაკრიალი (ახლანდელი ქემალ-ფაშა), პირონიტი, აბუისლა (ლაზურად აზლაღა) და მარადიდის საბოქაულოში შემავალი ჩხალის ხეობის კიდევ რამდენიმე პატარა დასახლება).

ამ დროიდან მოყოლებული, არა მარტო მაშინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მრავალი წერილი ე. წ. ოსმალოს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა შესახებ, არამედ ისეთი წიგნებიც გამოიცა, რომლებშიც ეროვნულ-პატრიოტული პოზიციებიდანაა წარმოჩენილი საუკუნეების წინათ მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი და იძულებით გაუცხოებული ჩვენი თანამემამულეების, მათ შორის ლაზების, ისტორიული და იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება.

ლაზეთისადმი ქართველი საზოგადოების მიერ გამოვლენილმა პატრიოტულმა ინტერესმა განახლებული ძალით იჩინა თავი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა თურქეთის წინააღმდეგ გამართულ საომარ დაპირისპირებაში შეძლეს ლაზური ტერიტორიის უდიდესი ნაწილის დაკავება. ამ მოვლენამ



იმჟამინდელ ჩვენს საზოგადოებას რეალურად გაუჩინა იმედი დედასამშობლოსთან ხსენებული რეგიონის კვლავაც შემოერთებისა.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის 20-იან წლებამდე ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს პრობლემა სავსებით ლოგიკურად იქცა იმხანად მოღვაწე არაერთი ჩვენი მამულიშვილის ცხოველი ინტერესის საგნად. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მათი იმდროინდელი პუბლიკაციების მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ ამ პუბლიკაციათა უმეტესობა ხსენებულ რეგიონებში ნამოგზაურებ პიროვნებათა მიერ იქ მიღებულ პირად შთაბეჭდილებათა საფუძველზეა დაწერილი.

კერძოდ, ზემოთქმული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, ი. ყიფშიძის, ზ. ჭიჭინაძის, ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, დ. კლდიაშვილის, ი. არჯევანიძისა და იმჟამად მცხოვრებ სხვა მწერალთა და მეცნიერთა პუბლიკაციები.

სამწუხაროდ, XIX საუკუნის 70-იანი წლებში დაწყებული და შემდგომში საკმაოდ დინამიურად და წარმატებულად მიმდინარე ეს პროცესი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თანდათანობით ცხრება, რაც აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესის გაქრობით კი არ იყო განპირობებული, არამედ მაშინდელი პოლიტიკური და იდეოლოგიური რეალობით. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ზემოთ უკვე მოხსენიებული ყარსის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ლაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ჩვენი ქვეყნის მიღმა დარჩა, თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის იმდენად გამმიჯნავი და რთული ურთიერთობა არსებობდა, რომ მეზობელი ქვეყნის მიერ მისაკუთრებულ ქართულ რეგიონებთან რაიმე სახის ურთიერთობის დამყარებაზე ოცნებაც კი ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ე. წ. ოსმალოს საქართველოს, მათ შორის ლაზეთის ისტორიისა და თანამედროვე ყოფის კვლევა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ამ რეგიონების მეცნიერულ შესწავლას ამ ბოლო დროს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა, ხსენებულ ადგილებში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ექსპედიციებიც ხშირად ეწყობა ხოლმე, რის საფუძველზეც მოპოვებული ახალი მასალები კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს მათ ისტორიასთან დაკავშირებულ ცალკეულ მხარეებს.

წინამდებარე წიგნის დაწერის საფუძვლადაც უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს კეთილშობილური მიზანი იქცა. თუმცა აქვე ხაზგასმით იმასაც ვიტყვი, რომ მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანილი ამ ნაშრომის ავტორს საკვლევად აღებული პერიოდის ლაზეთის ისტორიის ყოველმხრივი და ფუნდამენტური შესწავლის პრეტენზია არ აქვს. ეს საქმე ერთი ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდება და მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ცალკეულმა მეცნიერებმა უკვე გადადგეს პირველი წარმატებული ნაბიჯები, იგი მაინც სამომავლოდაა გასაკეთებელი.

წიგნის შინაარსი

გეოგრაფიული საზღვრები.
პავლე ინგოროყვა და ლაზეთის საზღვრები რეგიონის ძველი



და შუა საუკუნეების ისტორიის კონტექსტში.
მოსახლეობა.
ლაზეთის პრობლემა ქართველ მოღვაწეთა თვალთახედვით (დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, დავით კლდიაშვილი, იოსებ ყიფშიძე, ივანე არჯევანიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, იასე რაჭველი, თედო სახოკია).
ლაზეთის საკითხი XIX-XX საუკუნეების ქართულ პრესაში: ა) პირველი მსოფლიო ომის წინარე ხანა; ბ) პირველი მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდი.
უცხოელ მოგზაურთა თვალით დანახული ლაზეთი და ლაზები (ლუდოვიკე გრანჯერიოსი, ევლია ჩელები, კარლ კოხი, ვილიამ ჯიფორდ პალგრევი, დენის სესილ ჰილზი).
ლაზეთის თემის მხატვრული დისკურსი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (ნიკო ბერძენიშვილის «გულუბრყვილო პატრიოტი,» ქალდეა – სიმბოლო ლაზთა და ქართველთა ერთობლივი ისტორიის საწყისი ადგილისა, კონსტანტინე გამსახურდია, ლაზეთის პრობლემის მხატვრული წარმოსახვა გასული საუკუნის 40-50-იანი წლების ქართულ მწერლობაში, გიორგი ლეონიძე, ანდრო ლომიძე).
გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდგომდროინდელი პერიოდი (ნოდარ დუმბაძე, ლევან გოთუა, რამაზ სურმანიძე, დათო ტურაშვილი, ფარნა-ბექა ჩილაშვილი).
ლაზური სულის ლიტერატურული გამონაშუქი (ხასან ჰელიმიში, იაშა თანდილავა, უმით ოსმანაღაოღლუ).
ლაზთა ეროვნული ცნობიერების წარმომჩენი ეპიზოდები ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში.
ბოლოთქმა.
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.
რეზიუმე თურქულ ენაზე.
ანოტაცია

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

რამდენიმე სიტყვა პროფესორ ლევან ფაჩულიას წიგნზე

„შედარებითი ენათმეცნიერების საკითხები (შესავალი კურსი)"

ლევან ფაჩულია

შედარებითი ენათმეცნიერების საკითხები
(შესავალი კურსი)

2016 წლის მიწურულს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა პროფესორ ლევან ფაჩულიას წიგნი „შედარებითი ენათმეცნიერების საკითხები (შესავალი კურსი)."

სარეცენზიო ნაშრომი წარმოდგენილია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის. იგი ემყარება პროფესორ ლევან ფაჩულიას ხანგრძლივ გამოცდილებას, რომელიც უკვე მრავალი წელია კითხულობს შედარებითი ენათმეცნიერების კურსს. ამდენად, ეს წიგნი სწორედ აუდიტორიაშია გამოწრთობილი, რაც მის უეჭველ წარმატებაზე თავისთავად მეტყველებს.

წიგნი შედგება წინათქმის, შესავლის, შვიდი თავის (თითოეულ მათგანს ახლავს ბიბლიოგრაფია), ძირითადი დებულებების, შემოკლებათა სიის, დამოწმებებისა და ინგლისური რეზიუმესაგან. მნიშვნელოვანი და ფასეულია ის, თუ რა პრინციპის მიხედვით იყოფა პარაგრაფებად და ქვეპარაგრაფებად თითოეული თავი. ავტორი ეყრდნობა საკითხთა ლოგიკურ თანამიმდევრობას, თითოეული მათგანის მოცულობასა და მისაწვდომობას.

წიგნში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული, საერთოდ, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და, კერძოდ, ქართველური შედარებითი ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები. ღირსსაცნობია შემდეგი გარემოებაც: პროფესორი ლევან ფაჩულია ამას იმგვარად ახერხებს, რომ სტუდენტებისათვის არ შეიქმნება ბუნდოვანება რომელიმე საკითხის აღქმისას. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ: ამ და მრავალი სხვა ღირსების საფუძველი ისიც გახლავთ, რომ სარეცენზიო საკითხები რთულია თავისი ხასიათით, ოღონდ ავტორი ახერხებს, რომ ისინი სტუდენტებამდე ძალიან გასაგები ენით სახელმძღვანელომ ფაქტობრივად საუნივერსიტეტო აუდიტორიაში გაიარა აპრობაცია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პროფესორი ლევან ფაჩულია არ გახლავთ დებიუტანტი ამ სფეროში: მის კალამს შედარებითი ენათმეცნიერების საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი ეკუთვნის, რომლებიც დაბეჭდილია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროფესორ ლევან ფაჩულიას წიგნი „შედარებითი ენათმეცნიერების საკითხები (შესავალი კურსი)" ხალ-ასი და ძალდაუტანებელი ქართულითაა ნაწერი. განხილული საკითხები რთულია თავისი ხასიათით, ოღონდ ავტორი ახერხებს, რომ ისინი სტუდენტებამდე ძალიან გასაგები ენით მიიტანოს.

ამ წიგნის გამოცემით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პიონერი გახდება აღნიშნულ საქმეში, რადგანაც ამგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს პრეცენდენტი არ გვაქვს.

როგორც ენათმეცნიერი, როგორც მასწავლებელი და როგორც წიგნის რედაქტორი მივესალმები ამ ნაშრომის გამოქვეყნებას, და ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მივულოცავ არა როგორც ავტორს, ასევე მის სტუდენტებს, რომლებიც ამგვარად აღჭურვილნი სულ უფრო და უფრო მაღალ მწვერვალებს დაიპყრობენ.

ზაალ კიკვიძე
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პრეზენტაცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქართველ სტუდენტებზე

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თამარ ჩხაიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის მაგისტრი, მიწვეული იყო 'Marc Godrie' -ის ლიცეუმში საფრანგეთში, ქალაქ Loudun-ში. ამჟამად კი 2017 წლის იანვარში თამარ ჩხაიძე, როგორც ინგლისური ენის სპეციალისტი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავ მიიწვიეს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და გაღრმავების მიზნით. იქ თამარი იკვლევდა იმ პროფესიულ სასწავლო მეთოდებს, რაც აღრმავებს ინგლისური ენის სწავლებას და კიდევ უფრო ეფექტურს ხდის მას. თამარ ჩხაიძეს საშუალება მიეცა ფრანგ სტუდენტებთან და ინგლისურის პედაგოგებთან ერთად ესაუბრა განათლების თანამედროვე მეთოდებზე; წარედგინა პრეზენტაცია საქართველოზე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქართველ სტუდენტებზე. ამავე დროს გაიზიარა ახალი გამოცდილებები და როგორც ასისტენტ-მასწავლებელი ჩაერთო სასწავლო პროცესში, რათა შეედარებინა ქართული, ფრანგული და ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები. ფრანგი სტუდენტები ძალიან დაინტერესდნენ

loudun

L'Aclé fête ses 30 ans

éducation

C'est comment l'école en Géorgie ?

loisirs

Bel après-midi avec Annette

საქართველოთი და სურვილი გამოთქვეს ემეგობრათ ქართველ სტუდენტებთან. ამ მიზნით ერთმანეთი ინტერნეტით გაიცვნეს და დამეგობრდნენ.

ინგლისური ენის პედაგოგ Karine Auger-თან ერთად თამარ ჩხაიძე ეწვია ევროპის ერთ-ერთ უძველეს უნივერსიტეტს — 'University of Poitiers', საფრანგეთში. აქ თამარმა მოისმინა გამოცდილი და კვალიფიციური ინგლისური ენის პროფესორ Marc Fryd-ის ლექციები. თამარს საშუალება მიეცა ენახა როგორი თანამედროვე მეთოდებით წარიმართება სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში, საფრანგეთში. პროფესორ Marc Fryd-მა უდიდესი გავლენა იქონია ინგლისურის ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტზე.

თამარმა გაიზიარა მათი გამოცდილებები და დაუმეგობრდა თავის დიდ ფრანგ კოლეგას. ყოველივე ამის შესახებ სტატია დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ 'La nouvelle Republique'-ში.

ფრანგმა კოლეგებმა დიდი წარმატებები და წინსვლა უსურვეს ქართველ კოლეგას და თავადაც გამოთქვეს სურვილი ესტუმრონ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თამარ ჩხაიძე კი დიდი შთაბეჭდილებებით და ნათელი იდეებით დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

თამარ გუმბერიძე

ორი შვიდიანი

უყვარს თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა. მცირედით, მაგრამ მაინც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ატმის ყვავილების სურნელებით გაჟღენთილი ამ დღისადმი. და არც შეიძლება, წლის ასეთ მშვენიერ დროს, როცა „იმერეთს ხატავს ტყემლების ფუნჯი“ და ეზოებში, ბაღებსა და სკვერებში — ყველგან იებისა და ფურისულების ხალიჩაა დაგებული, ამ საქმეს თავი აარიდოს. არც ყოფილა ასეთი შემთხვევა. ეს ამხიარულებს და კარგ განწყობას უქმნის. ბავშვობიდანვეა მიჩვეული ასეთ ღონისძიებებს და „მიჩვეულს“ არ იკლებს...

წელს განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს დღე. შარშან, დაბადების დღისადმი მიძღვნილ მცირე სადილზე, დავპირდით დეპარტამენტში, ღმერთმა კარგად გვამყოფოს და ჩვენ ვიცით, როგორც აღვნიშნავთ თქვენს იუბილესო.

ძვირფასო მკითხველო, არ იფიქროთ, რა ამბავია ორი შვიდიანიო. ჯერ შეხედეთ ქართული ენის მიმართულების პროფესორს, ქ-ნ მარინა ქაცარავას და გააკეთეთ დასკვნა, ჰგავს ის ამ ასაკში მყოფ ადამიანს? ეს — გარეგნობით, გონებით?

გარდა ამისა, ქ-ნი მარინას პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ეს სერიოზული ასაკიც კი მცირეა ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც ძალიან უყვარს სიცოცხლე, შესტრფის ყოველი მზის ამოსვლას, აფასებს და პატივს სცემს ისეთ პიროვნებებს, რომლებიც მის ირგვლივ საქმიანობენ. ვერაფრით რომელიმე მათგანზე ცუდს ვერ ათქმევინებ, მხოლოდ კარგით იხსენებს ყველას. მოგონება კი უამრავი აქვს. ეთაყვანება უნივერსიტეტს, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე, ქ-ნი მარინას აქ მუშაობის პერიოდში, ბ-ნი ლუკა ჭელიძიდან დაწყებული, ცხრა რექტორი გამოიცვალა. ისე შეეზარდა აქაურობას, რომ ვერ წარმოუდგენია ამ სასწავლო დაწესებულების გარეშე ცხოვრება.

ხან დაწყებითი ფაკულტეტის მეთოდიკათა კათედრაზე მუშაობდა, ხანაც დღევანდელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. რამდენჯერ შეერთდა ეს ფაკულტეტი და რამდენჯერ გამოიყო, ხან რა ჰქვიოდა მას და ხანაც — რა, რამდენი სიახლე დაინერგა ქ-ნი მარინას ქართული ენის კათედრის გამგედ (1993-2000) მუშაობის დროს, რამდენჯერ შეიცვალა კათედრამ სამუშაო ადგილი, ხან რომელ კორპუსში დაიდო ბინა და ხანაც — რომელში, რამდენი ახალი საგანი შემოვიდა, რამდენი კვალიფიციური ნაშრომი დაიწერა, რამდენი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო და მონოგრაფია შეემატა სპეციალურ ლიტერატურას, რამდენმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რამდენი საინტერესო და ღირსსახსოვარი კონფერენცია ჩატარდა, რამდენჯერ უმასპინძლა ქართული ენის კათედრამ რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიებს, რამდენმა სტუდენტმა დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით უნივერსიტეტი და სხვა. სიამოვნებით იხსენებს იმ წლებს, მაგრამ იმას ვერ ეგუება, რომ დღეს ენისა და ლიტერატურის სპეციალობები ერთი — ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ჭერქვეშაა, რომ ქართული ენის დეპარტამენტი ცალკე არ არის გამოყოფილი. ეს ხომ არ არის მხოლოდ სასწავლო ენის დეპარტამენტად გამოყოფის საკითხი, ეს ხომ კონსტიტუციური, სახელმწიფო ქართული ენის ღირსების საქმეა, იმ ენისა, რომლის მოვლა და პატრონობა სწორედ ამ დეპარტამენტს ევალებაო, — ხშირად იმეორებს ის.

ქ-ნი მარინა კოლეგიალური ადამიანია. არასოდეს აკლდება საერთო საქმიანობას. ის აშშვენებს არა მარტო ფაკულტეტის მიერ ჩატარებულ, არამედ — საერთო საუნივერსიტეტო ღონისძიებებსაც. ხშირად მისი შესავალი ან დასკვნითი სიტყვით ფასდება და ჯამდება ესა თუ ის კონფერენცია, სესია ან ნაირ-ნაირი შეხვედრები. აქვს გამჭრიახი გონება, სწრაფი აზროვნება და ყოველი გამოსვლის დროს დიდ ეფექტსაც აღწევს.

სტუდენტთა აუდიტორიაზე ზემოქმედების მოსახდენად ლექციის დაწყებამდეც და ლექციის პროცესშიც ის ხშირად იყენებს სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს. მეტყველების პროცესში იცავს გრამატიკაში არსებულ მართლმეტყველების კანონებს. მისი წარმოთქმული სიტყვებისა და ფრაზების საშუალებით აზრს ზუსტად ისე გადმოსცემს, როგორც ფიქრობს. მოკლედ, მის მეტყველებას ახასიათებს სისწორე, სიცხადე და სიზუსტე. ამიტომაც ქ-ნი მარინას გამოსვლა ახალგაზრდების წინაშე ადვილად გასაგები და საინტერესოა და ის უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს.

ჟესტი, მიმიკა, პოზა, დიქცია, ხმის ტემბრი, ტემპი, მზერა, ქცევა, ემოცია, ჩაცმა, დახურვა, ვარცხნილობა, აქსესუარები — ეს არის ის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია ყოველი ლექტორისთვის და ქ-ნი მარინა განგებას ამით უხვად დაუჯილდოებია. ამას გრძნობენ სტუდენტები და აღნიშნავენ კიდეც.

ბევრ რაიმეს სწავლობენ ახალგაზრდები მისგან. მარტო ის რად ღირს, რომ ცოდნას პირდაპირ თავში უდებს მომავალ პედაგოგებს. მის ახსნილ მეტყველების ნაწილებსა და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ადვილად გებულობენ დღევანდელი ბაკალავრები და მაგისტრანტები. განსაკუთრებით მოსწონს მწერლის ენაზე მუშაობა და სტუდენტებსაც ამ საქმეს ღირსეულად უზიარებს.

აქვს სიცოცხლის ხალისი. თავისი აღნაგობიდან გამომდინარე, კარგი ჩაცმა-დახურვა კი არა, ჩვეულებრივიც ძალიან აშშვენებს. ალბათ, ამითი გახალისებული, ყოველდღიურად სხვადასხვაგვარად შემოსილი დადის, უყვარს სამკაულები — მეორეხარისხოვანი ნივთები, რომელთა გარეშე მას ვერ ნახავთ და მოსწონს, როცა სტუდენტებიც მას ბაძავენ. მითითებებსაც კი აძლევს ახალგაზრდებს, თუ სად, როდის, როგორ ჩაიცვან და დაიხურონ, რომ თეატრალური სამოსი გამოარჩიონ ყოველდღიურისაგან, რომ ზღვაზე ჩასაცმელი მხოლოდ იქ გამოიყენონ, სადაც საჭიროა და არა უნივერსიტეტში და ა. შ. ქ-ნი მარინა დარიგებებს არ აკლებს თავის სტუდენტებს, რომ ისინი მარტო სპეციალისტებად კი არა, ღირსეულ მოქალაქეებადაც აღიზარდონ.

ქართული ენის მიმართულება ამ ბოლო დროს ბევრი კარგი ახალგაზრდით შეივსო. მათ დიდი სიყვარული აქვთ სპეციალობისადმი. ისინი სისტემატურად იმაღლებენ ცოდნის დონეს, ხვეწენ საგნის სწავლების მეთოდებს.

ქ-ნი მარინა ქაცარავა ბურჯად უდგას თავის დეპარტამენტს. არის ყოველი კარგი საქმის ინიციატორი, ყოველგვარი საქმიანობის კონსულტანტი და ჭკუის დამრიგებელი და ამას ყველაფერს დაუზარებლად და სიამოვნებით აკეთებს.

მივულოცოთ მას დაბადების მნიშვნელოვანი თარიღი, გაზაფხული, ქალთა დღესასწაული, ვუსურვოთ ჯანმრთელი სიცოცხლე, შეენარჩუნებინოს ცხოვრების მაჟორული განწყობილება და ახალგაზრდა თაობის სიყვარული თავისი სიცოცხლის ბოლომდე.

ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის დავალებით

იზოლდა რუსაძე

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ყველა წევრი უერთდება ამ მილოცვას და პროფესორ ომარ გვეტაძის ლექსით მიმართავს ქალბატონ მარინას:

გაზაფხულის სურნელება
ავსებს ზეცის არილებს,
პირველ იებს მოგილოცავთ,
ქალბატონო მარინე!

დრო მარცხდება მხოლოდ
ქალთან,
იმალება მღილივით,
შემორჩენილ თოვლის
ფთილებს
ადნობს თქვენი ღიმილი.

ახალ დღეებს ელოდებით
მზის სხივებით განბანილს,
ალბათ თქვენგან
შევისწავლეთ
სილამაზის ანბანი.

ხშირადა ხართ სატკივარით,
საზრუნავით გართული,
თქვენი სევდა ქართულია,
თქვენი კდემა — ქართული.

ამიტომაც თქვენი ზეცა
ციდა ღრუბელს არ იტევს,
ორ შვიდიანს მოგილოცავთ,
ქალბატონო მარინე!

მთავარი რედაქტორი **გია ხოფერია**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
კორესპონდენტი **თამარ გუმბერიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობაში ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com